140
1963

# პიონერი



დეკემბერი 12 1963



# თერთმეტს აკლია თხუთმეტი წუთი...

ოთარ გობრონიძე

**1963 წლის 2 ოქტომბერი.** 11 საათს აკლია თხუთმეტი წუთი.

რაზმეული ხაზზეა.

გურამ მაცაბერიძეს უკავია წითელი დროშა.

საყვირის ყოველ ჩაბერვაზე თამაზ ჯიქიას ებერება კისრის ძარღვები, ლალი კი ყოველ წუთში ისწორებს ყელსახვევს...

## დარეჯან ჭინჭარაძის დღიური

**1962 წ. 4 ოქტომბერი.**

ამირჩიეს რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარედ. ვერ წარმომიდგენია,

ფოტო ოთარ თურქიახი



გაკვეთილების შემდეგ თამაშ ჭიქია მათემატიკაში ავარჯიშებდა სერგო ავალიშვილსა და გიორგი ბეროიანს.

რა უნდა გავაკეთო ჯილდას შემდეგ...

უარი არ გამივიდა. ციალა ხელმძღვანელის ბრალია ყველაფერი, – ისე დამახასიათა—საბჭოს წევრებმა გაოცებისაგან პირი დააღეს. მართალია, ჩემი რაზმი მოწინავე იყო, მაგრამ სად რაზმის ხელმძღვანელობა და სად რაზმეულის... კლასში რომ გაიგეს, ბიჭებმა სიცილი დაიწყეს. ყველა ყველა, მაგრამ ზაზასა და ვახტანგისაგან ამას არ ველოდი...

სახლში ხმა არ ამომიღია. დედამ რამდენჯერმე გამისინჯა შუბლი. საღამოს მოვიდა მამა. მამა ყველაზე კარგი მეგობარია ჩემი. ამიტომ გულის ნადებს ყველაზე პირველად ყოველთვის მას ვანდობ.

— რწმენაა მთავარი ცხოვრებაში,— მითხრა მამამ...

**1962 წ. 5 ოქტომბერი.**

რა კარგია, როცა ადამიანს უყვარს წესრიგი. ჯილდას არაფერი არ დავიწყებია, უმნიშვნელო წვრილმანიც კი. ლამაზად გაფორმებული ალბომები, რომლებიც ჩემს მაგიდაზე დამხვდა, სკოლის რაზმეულის მატიანეა...

ციალა ხელმძღვანელი ძალიან მომეხმარა. ერთად შევადგინეთ სამუშაო გეგმა. ნომერი 1 პრობლემაა—არ გვყავდეს არც ერთი ოროსანი. წინ პიონერული ორწლედის უკანასკნელი თვეებია...

## ჯ ა რ თ ი

დიდი ეზო თითქოს უცებ დაპატარავდა, კუთხეები ამოავსო რკინა-კავეულმა; ძველი ქვაბი, ძირგავარდნილი ვარცლი, პაპისეული სამოვარი, ჟანგისაგან შეჭმული თუნუქი...

წინ იყო ლილი არჩვაძის რაზმი.

მესამე რაზმის საბჭოს თავმჯდომარემ ნოდარ ოდიკაძემ რგოლის ხელმძღვანელები შეკრიბა და გაანდო გულის ნადები...

სკოლის ახლოს რკინიგზის ლიანდაგია. ხმაურით ჩაივლის ხოლმე ორთქლმავალი და მერე კარგა ხანს არ თავდება ვაგონთა გრძელი რიგი. ლიანდაგის იქით „ძმათა სასაფლაოა“. სასაფლაოზე ხშირად მიდიან 88-ე სკოლის პიონერები. მიაქვთ ყვავილები, უვლიან სამამულო ომში დაღუპულ გმირთა საფლავებს. სასაფლაოს შესასვლელთან ეგდო ორთქლმავლის ქვაბი. საიდან გაჩნდა აქ ეს ქვაბი— არავინ იცოდა.

მესამე რაზმმა მოიწონა ნოდარ ოდიკაძის წინადადება—ქვაბის სკოლის ეზოში გადმოტანის შესახებ, და წარმომადგენელი გაგზავნა მეისრესთან, რომელიც ცხოვრობდა რკინიგზის ახლოს, თლილი ქვით ნაგებ სახლში.



დარეჯან ჭიჭინაძე.

— მოერევით ვითომ?—დაეჭვდა მეისრე.

— მოვერევით—მტკიცედ განაცხადა რაზმის წარმომადგენელმა დათუნა დუშუაშვილმა.

მეისრე დათანხმდა.

**1962 წ. 20 ოქტომბერი.**

რაზმეულმა ცხრა ტონა ჯართი ჩააბარა. აღებული ვალდებულება შესრულებულია ორმაგად. პირველ ადგილზე გამოვიდა ნოდარ ოდიკაძის რაზმი. მეორეზე—ლილი არჩვაძის... ციალა ხელმძღვანელი კმაყოფილია. როგორ მიხარია!

## პრობლემა ნომერი პირველი

სერგოს ქუჩაში გაახსენდა მამის მუქარა და გიორგის უთხრა:

— მე არ წავალ სახლში.

— არც მე,—თქვა გიორგიმ და ისე ამოიოხრა, კინაღამ გული ამოატანა თან.

სერგო ავალიშვილი და გიორგი ბეროიანი მეექვსე კლასიდან მეხუთეში დააბრუნეს. პირველი რაზმის თავმჯდომარემ—მზია შაველაშვილმა საბჭოს სხდომა მოიწვია. სხდომას ესწრებოდა კლასის დამრიგებელი. დამრიგებელმა დააკმაყოფილა პიონერთა თხოვნა, სერგო ავალიშვილისა და გიორგი ბეროიანის მეხუთე კლასში დაბრუნების საკითხი დროებით შეაჩერა...

საღამოს ბიჭებს მოშივდათ. ჯიბეში ოცდაორი კაპიკი აღმოაჩნდა სერგოს.

— პური ვიყიდოთ,—თქვა მან.

— მერე?

— მერე, დაველოდოთ კახეთის მატარებელს, ჩალაუბანში ბაბუაჩემი პავლია ცხოვრობს...

გაკვეთილების შემდეგ მზიამ თენგიზ ჯიქია იხმო.

— თენგიზ, თანახმა ხარ?

— რა თქმა უნდა; ყოველდღე შემიძლია თითო საათი ვამეცადინო.

— შენი იმედი გვაქვს იცოდე.

სკოლიდან ერთად წამოვიდნენ მზია და თენგიზი.

თენგიზი ფრიადოსანია, მაგრამ ფრიადოსანიც არის და ფრიადოსანიც. სამასწავლებლოში ხშირად მოკრავს კაცი ყურს ასეთ ლაპარაკს:

— თენგიზი უეჭველად მათემატიკოსი იქნება.

— მე მგონია, ლიტერატურაა მაგის მოწოდება.

— ქიმია, მეგობრებო, ქიმია...

— თენგიზ ჯიქია ბიოლოგიური მეცნიერებისათვის არის დაბადებული...

... ბაქანზე ჩამოდგა გრძელი შემადგენლობა. გიორგი და სერგო უკანასკნელი ვაგონის კიბეზე ავიდნენ. მატარებელი დაიძრა.

— მეშინია, სერგო,—თქვა გიორგიმ, როცა მატარებელმა სვლას უმატა.

— მაგრად მოკიდე ხელი, მაგრადო,— გაამხნევა სერგომ.

მატარებელი კი მიჰქროდა მთელი სისწრაფით.

მატარებლის გამყოლმა—ივანე დათუაშვილმა ჩამოვლა დაამთავრა. გამოცდილი რკინიგზელი მანამდე არ თვლის თავის მოვალეობას შესრულებულად, სანამ ყველა წვრილმანს არ შეამოწმებს.

თამბურში მთვრალ მოხუცს ეძინა... კიბეზე კი...

ივანეს თვალები გაუფართოვდა.

... თენგიზ ჯიქიას რომ დაშორდა, მზიამ სერგო ავალიშვილის სახლისკენ გასწია.

— ჯერ არ მოსულა, შვილო—უთხრა სერგოს დედამ.

— უთხარით, რომ ხვალ ერთი საათით ადრე მოვიდეს სკოლაში.

— კარგი, შვილო...

... ივანე ბერუაშვილმა ბავშვები თავის კუპეში შეიყვანა.

— სად მიდიხართ, შვილებო?

— ჩალაუბანში.

— პაპა პავლიასთან.

— ჩალაუბანი ჯერ შორს არის. დაიძინეთ, მე გაგაღვიძებთ,—უთხრა ივანემ ბავშვებს და გარეთ გამოვიდა.

მატარებელი უაღლოვდებოდა სადგურ ვაზიანს...

სერგო გაოცდა. იგი თავის ლოგინში იწვა. სასთუმალთან დედა მიჯდომოდა.

— სად მიდიოდი, შვილო?—კითხა დედამ.

— პაპა პავლიასთან, — ჩაილუღლუღა სერგომ.

უცებ, სიცილმა აავსო ოთახი. სერგოს შერცხვა,—ყველანი აქ იყვნენ: მზია, თენგიზი, ნოდარი, დათუნა...

— გიორგი სად არის?—იკითხა სერგომ.

— ადექი რა, რამდენი ხანია, გელოდებიან,—მოისმა ოთახის კუთხიდან გიორგის ხმა.

## მე-5 რაზმში

რევაზ დათუაშვილი მეხუთე რაზმის საბჭოს თავმჯდომარეა. იგი პა-

კომუნისტი მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდე, როცა შენს მეხსიერებას გაამდიდრებ ყველა იმ სიმდიდრის ცოდნით, რაც კაცობრიობას შეუმუშავებია.

ვ. ი. ლენინი

პიონერი №12 დეკემბერი 1963
საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

ტარა ტანის, ცოცხალთვალება ბიჭია. მეხუთე რაზმს ბადალი არ ეყოლებოდა, ნომერი პირველი პრობლემა მთელი სიმძიმით რომ არ დაწოლოდა მის საქმიანობას.

გენადი ფირანიშვილი და ნუგზარ მიკირტუმოვი ოროსნები იყვნენ.

– სწავლა შეუძლიათ, მაგრამ ზარმაცობენ,—ამბობდენ მასწავლებლები.

რაზმის საბჭოს სხდომაზე იმსჯელეს; ბიჭებმა პირობა დადეს, მაგრამ არ შეასრულეს. მაშინ რევაზ დათუაშვილმა გადაწყვიტა...

მეხუთე რაზმმა თავისი მორიგი სხდომა გენადი ფირანიშვილის ეზოში ჩაატარა.

სხდომას ესწრებოდენ: რაზმის საბჭოს წევრები, გენადისა და ნუგზარის მეზობლები.

დიდხანს ილაპარაკეს.

ნუგზარმა და გენადიმ კიდევ ერთხელ დადეს პირობა...

**1968 წ. 8 იანვარი.**

მეორე მეოთხედი დამთავრდა. რაზმეულში არა გვყავს არც ერთი ოროსანი. შეჯამდა საკავშირო შეჯიბრის—„პიონერული ორწლედის“ შედეგები,— ჩვენმა რაზმეულმა თბილისში პირველი ადგილი დაიკავა. კომკავშირის საქალაქო კომიტეტმა დაგვაჯილდოვა გარდამავალი წითელი დროშით და მოგვანიჭა „შვიდწლედის თანამგზავრის“ სახელი. ახლა არდადეგებია. ნაწილი ბავშვებისა ბაკურიანშია; მალე დაიწყება შეჯიბრი თხილამურებით სრიალში. სკოლაში მიმდინარეობს პირველობა შაშსა და ჭადრაკში. ჭადრაკში, ალბათ, გოჩა ხეთაგური აიღებს პირველ ადგილს. გოჩამ ერთდროული თამაშის სეანსში მოუგო გამოჩენილ დიდოსტატს...

**1968 წ. 20 იანვარი.**

დღეს ჩვენი სკოლის რაზმეულს შეხვედრა ჰქონდა ავეჯკომბინატის კომუნისტური შრომის ბრიგადასთან, რომელსაც ხელმძღვანელობს ელგუჯა ბადრიძე. ელგუჯა ბადრიძის წინადადებით ბრიგადამ იკისრა—შეფობა გაუწიოს ჩვენი სკოლის პიონერებს...

დამთავრდა შეჯიბრება ჭადრაკში. გაიმარჯვა გოჩა ხეთაგურმა.



მალე ვიქნებით მამა პავლესთან...

## დიდი მეგობრობის დასაწყისი

ავეჯ-კომბინატში 88-ე სკოლის პიონერები გულთბილად მიიღეს. პიონერებმა დაათვალიერეს საამქროები, გაეცნენ სამუშაო პროცესებს. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ბავშვებზე მზა ნაწარმის განყოფილებამ. აქ ჩვეულებრივი ხე ათასგვარად იცვლიდა სახეს; მისი თეთრი ზედაპირი ხან ყვითელი იყო, ხან—ყავისფერი და, რაც მთავარია, სარკესავით პრიალებდა.

გივი ბადრიძემ პიონერებს «წარმოების საიდუმლოება» აუხსნა. ვალერი აჯიაშვილმა და გურამ მაცაბერიძემ «წაიმუშავეს» და მათ გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა აპრიალდა ხის ზედაპირი. გივი ბადრიძემ ნახელავი მოუწონა პიონერებს.



— მოერევით ვითომ? — დაიძახა მეისრე.

საამქროში შესვენების ზარი აწკრიალდა. ბრიგადირმა კლუბში მიიპატიჟა სტუმრები.

—ჩვენ ძალიან მოხარული ვართ,— თქვა გივიმ,—რომ დღეს ჩვენთან სტუმრად არიან 88-ე სკოლის პიონერები...

სკოლის პიონერული ორგანიზაციის სახელით ბრიგადის წევრებს გულთბილი მიღებისათვის მადლობა გადაუხადა ქეთო ხელმძღვანელმა...

ამის შემდეგ გაიმართა კითხვა-პასუხი:

**რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე—დარეჯან ჭინჭარაძე:**—პატივცემულო გივი, თუ შეიძლება, მოგვიყევით თქვენი ბრიგადის შესახებ...

**გივი ბადრიძე**—როგორც ხედავთ, ჩვენს ბრიგადაში მხოლოდ ახალგაზრდები ვართ. უმეტესი ჩვენგანი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოვიდა წარმოებაში.

**მე-8 რაზმის საბჭოს თავმჯდომარე—ნოდარ ოდიკაძე:**—როგორ მოიპოვეთ კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო სახელი?

**გივი ბადრიძე:**—არ დაგიმალავთ და გეტყვით, რომ ძალიან ძნელად. განსაკუთრებით გვიჭირდა პირველ ხანებში. გვაკლდა გამოცდილება, შრომის კულტურა, რის გამოც დაბალი იყო ჩვენი შრომის ნაყოფიერება. მხოლოდ შეუპოვარმა შრომამ, სწავლამ და მონდომებამ მოგვიტანა სასურველი შედეგი. ახლა ჩვენ გეგმას გადაჭარბებით ვასრულებთ, ხოლო ჩვენს მიერ გამოშვებული პროდუქცია საუკეთესოა.

**ციალა ხელმძღვანელი:**—პიონერებს აინტერესებთ, რამ შეგიწყოთ ხელი მიზნების განხორციელებაში.

**გივი ბადრიძე:**—ჩვევებმა, რომელიც ბრიგადის თვითეულ წევრს გამოჰყვა სკოლიდან; ჩვევებმა, რომელიც ჩვენ ჩაგვინერგეს პიონერულმა ორგანიზაციამ და კომკავშირმა.

კიდევ დიდხანს ილაპარაკეს. საუბრის დასასრულს სიტყვა ითხოვა რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარემ:

— ჩვენი რაზმეული თავის რიგებში საპატიო პიონერებად ღებულობს ავეჯ-კომბინატის კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრებს...

მქუხარე ტაშმა აავსო დარბაზი. პიონერებმა წითელი ყელსახვევები გაუკეთეს უფროს მეგობრებს.

**1963 წ. 5 მაისი**

რა ბედნიერებაა!

გივი მაცაბერიძე და გოჩა ხეთაგური საზაფხულო არდადეგებს «არტეკში» გაატარებენ.

არასოდეს არ დამავიწყდება იქ ყოფნის დღეები. «არტეკი», მსოფლიოს ბავშვთა სანატრელი ადგილი... აიუდაკი, მედვედგორა, რომანკოში... რომელი ერთი გავიხსენო.

აბა თქვენ იცით, ბიჭებო!

## ხეთაგურის ოქროს მედალი

ბიჭები დაბრუნდნენ არტეკიდან, თან ჩამოიტანეს ხალისიანი ღიმილი, უამრავი შთაბეჭდილება და... ოქროს მედალი.

ოქროს მედალი დაიმსახურა არტეკის ჩემპიონმა ჭადრაკში—გოჩა ხეთაგურმა.

რაზმეულმა შეხვედრა მოუწყო «არტეკიდან» დაბრუნებულ პიონერებს.

გოჩა სიტყვაძუნწი ბიჭია, ბევრი ვერაფერი ათქმევინეს.

— პირველი ადგილი დავიკავეთ მე და კობა ტაბლიაშვილმა,—თქვა მან და გაჩუმდა.

მედალზე რას გვეტყვიო.
მედალი ორივეს მოგვცესო.
კობა ტაბლიაშვილი ვინ არისო.
მარტყოფელი პიონერიაო.

ეს იყო და ეს, გაისუსა და კრინტიც აღარ დაუძრავს. გურამ მაცაბერიძე დაწვრილებით.მოყვა ყველაფერს:

— საფინალო ჯგუფში მხოლოდ ათი უძლიერესი მოხვდა, მათ შორის—სამი ქართველი პიონერი: გოჩა, მე და მარტყოფელი მოსწავლე კობა ტაბლიაშვილი.



წესდების თანახმად, წაგებული ტოვებდა შეჯიბრს. კენჭისყრამ მე და გოჩა შეგვახვედრა ერთმანეთს.

გოჩამ ადვილად მომიგო. კობა ტაბლიაშვილმა დაამარცხა უკრაინელი გუბენკო, ტაშკენტელმა რაფშან აბდულა ტაგჟიხაჟაევმა—მოსკოველი იურცევი. შემდეგ ტურში გოჩამ რაფშანი დაამარცხა და ფინალში შეხვდა კობა ტაბლიაშვილს. შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. დაინიშნა დამატებითი შეხვედრა. კვლავ ყაიმი. მესამე შეხვედრამაც ვერ გამოავლინა გამარჯვებული. მაშინ, ჟიურის გადაწყვეტილებით, ორივეს ჩემპიონობა მიანიჭეს და გადასცეს ოქროს მედლები... რაფშანმა მიიღო ვერცხლის მედალი.

სამივეს საზეიმოდ გადასცეს ჯილდოები...

გივი გაჩუმდა. იგრიალა ტაშმა. გოჩას აწითლებოდა ლოყები, იგი უხერხულად იყურებოდა აქეთ-იქით.

ხელიდან ხელში გადადიოდა ჩემპიონის ოქროს მედალი.

**1963 წ. 7 სექტემბერი.**

1964 წლის იანვარში სრულდება ორმოცი წელი, რაც პიონერული ორგანიზაცია ლენინის სახელს ატარებს. ამ თარიღის აღსანიშნავად იმართება პიონერთა რაზმების შეჯიბრი; შეჯიბრის დევიზია:

**ლენინის სახელს ყველა**
**გულში ინახავს მტკიცედ,**
**პარტიის ერთგულებას**
**ჩვენ საქმით დავამტკიცებთ...**

შეჯიბრის სტარტი დანიშნულია 2 ოქტომბერს, დილის 11 საათზე...

ვფიქრობ, არ შევირცხვენთ თავს. მამა მართალია,—ცხოვრებაში ყველაზე მთავარი ყოფილა რწმენა...

## დილის 11 საათზე

1963 წლის 2 ოქტომბერი. სრული თერთმეტი საათია.

— რაზმეულო, სმენა!

გურამ მაცაბერიძეს უკავია წითელი დროშა.

პიონერები ხაზზე არიან.

საკავშირო რადიო აუწყებს მათ შეჯიბრის დაწყებას.

— გზა მშვიდობისა, 88-ე სკოლის პიონერებო!




**მიროტ ხერგიანი**

ნახატები **ვახტანგ ონიანისა**


ამ მოთხრობას ჩვენს კონკურსზე დაბეჭდვის რეკომენდაცია მიეცა.

უთენია გამომეღვიძა.

ბებია მარხული კერიასთან ჩაჩოქილიყო, — ცეცხლს აღვივებდა. შებერვისას, ნიკაპთან შეკრული შავი თავსაფარი ჩამოეშალა და ერთი ბოლო ნაცარზე დაეშვა; ბუტბუტით მოიხსნა, გაფერთხა, მერე აღმოსავლეთისაკენ შებრუნდა, ორივე ხელი ზეაღმართა, ფუსდსა* და ჯგრაგს** შეევედრა—არ მოეკლოთ ჩემთვის მფარველობა და მოწყალე თვალი... შეეფარებინათ თეთნულდის მყინვარში ჩამარხული გიერგის სული.

ბებია მარხულს ბევრჯერ უამბნია ჩემთვის გიერგიზე. ხელს ჩრდილოეთისაკენ გაიშვერდა: — აი, აქ უნდა გადმოსულიყო მტერი მაშინ. ჩვენებს გამოცდილი მთამსვლელები სჭირდებოდათ... მამაშენმა თეთნულდიდან ბეზენგის ჩრდილო კედლის დაზვერვა ითავა. ათი ჯარისკაცი გააყოლეს... — აქ ბებო ერთ ხანს გაჩუმდებოდა, თითქოს დაავიწყდა სათქმელი და იგონებსო, მერე განაგრძობდა: — მათგან ოთხი დაბრუნდა ცოცხალი, მამაშენი გადაჩეხილა, სხვები იმ ღამეს გაყინულან... ფერდობზე, თოვლში დაუმარხავთ მამაშენი, — ბებიას თვალზე ცრემლი მოადგებოდა ხოლმე მამაჩემის გახსენებაზე.

— ჰოდა, ჩემო ყანსავ, მაშინ ვიღას ეცალა მისი გვამის ჩამოსატანად, ჩვენმა საგვარეულომ ერთ ხანს დააპირა კიდეც, მაგრამ საძმოს უფროსის სიკვდილმა ჩაშალა... ახლა კი, გიერგი შენ გელოდება, მხოლოდ შენ... მამაშენს სცივა ყინულებში, — იმედის თვალით შემომხედავდა მარხული. შემდეგ თავზე ხელს გადამისვამდა და ღრმად ამოიოხრებდა.

თეთნულდი ჩვენი სახლის ვიწრო სარკმლიდან მოჩანდა, ამაყად გადმოჰყურებდა სოფელს. მუდამჟამს ქათქათა თოვლში გახვეული, თვალისმომჭრელად ბრჭყვიალებდა.

საწოლიდან გადმოვხტი. მეჩვენებოდა, თითქოს მე დამცინოდა იგი. ბრაზით შევუბღვირე თეთრ მწვერვალს.

მარხული ისევ ლოცულობდა...

დანაოჭებულ სახეზე ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა. მამაჩემის სახელს ახსენებდა წამდაუწუმ, მანოლს წყევლა-კრულვას უგზავნიდა ჰადიშში.

მანოლი ჩემი დედა იყო, მამაჩემის დაღუპვიდან ოთხი წლის შემდეგ გათხოვდა, — ერთ ჰადიშელ კაცს გაჰყვა.

შემებრალა ბებია მარხული — მხოლოდ მე ვიყავი მისი ნუგეში. ხშირად უთქვამს ჩემთვის:

—შენი ჯერია ახლა, ბაბაშების საძმოდან შენღა დარჩი გვარის გამგრძელებელი. წინაპართა სულები იმედით შემოგცქერიან. ყოველთვის ილოცე მაღალი ღმერთისათვის; მამაშენმა სამჯერ მიჰგვარა კვირიკეს შესაწირი.

ერთხელ, მახსოვს, შევეკითხე მარხულს:

— ბებო, რატომ დაიღუპა მამაჩემი, თუ ასე უყვარდა ღმერთი?

ბებიამ უკმაყოფილოდ გადმომხედა.

— ყოველ მაღალ მთაზე ეშმაკები ბუდობენ, მათ აუცდინეს ფეხი მამაშენს. — მარხულმა რამდენიმეჯერ გადააფურთხა — თფუი ეშმაკსო და პირჯვარი გადაიწერა.

— კი მაგრამ, შენ ხომ ამბობდი, ღმერთი ყველაზე ძლიერიაო; თუ ასეა, რატომ ვერ შეუშალა ხელი ეშმაკს? გამოდის, ეშმაკი ძლიერი ყოფილა ღმერთზე...

ახლა კი გაჯავრდა ბებიაჩემი:

—ღმერთო, შეუნდე ამ უმეცარს, ღმერთო, შეუნდე!— მერე მე მომიბრუნდა:

— ხელიდან წასულები ხართ ახლანდელი ბავშვები, მეორედ არ თქვა ასეთი რამ.

იმ დღეს ლუკმა არ ჩაუშვია პირში. ღმერთს შესთხოვდა, ეპატიებია ჩემთვის.

ძალიან ვინანე, ვთქვი — არასოდეს არ ვაწყენინებმეთქი. იგი ხომ მამაც იყო ჩემთვის, დედაც და ბებიაც... მარხული ყველაფერი იყო ჩემთვის.

* ფუსდ—უფალი.
** ჯგრაგ—წმინდა გიორი.



კირის დასაბანად გავედი. ბებიამ ლოცვა დაამთავრა და უკან გამომყვა. წყალი დამისხა. მის ღაწვებზე ისევ კიაფობდნენ ცრემლები. ცხვირსახოცი ამოვიღე და მოვწმინდე. მაგრად ჩამიკრა მკერდში.

მთებზე თოვლი აქა-იქლა დარჩენილიყო. თბილი ალიონი იდგა, — ალბათ ქვენა ქარი უბერავდა წუხელის. გომურიდან საქონელი გამოვუშვი და ლელღამის საძოვრებისაკენ გავირეკე.

გზადაგზა თანასოფლელები მიერთდებოდნენ.

ვესალმებოდი.

წესით, წამოწეულნი იძლევიან პირველ სალამს, მაგრამ ისინი უფროსები იყვნენ და ამიტომ მე მმართებდა დამესწრო „ხოჩა ლალად“*.

ისინი ხმამაღლა ლაპარაკობდნენ ამინდზე, საგაზაფხულო სამუშაოებზე. მსიამოვნებდა, მათ შორის რომ მივაბიჯებდი, კუნთებში მეტ ძალას ვგრძნობდი, სიამაყით ვივსებოდი.

ილარიონიც შემოგვიერთდა, საფეთქლებთან თმა შევერცხლოდა. ნინელივით ცისფერი თვალები ჰქონდა; ჩიოდა ახლანდელ ახალგაზრდებზე:

— ასე ჰგონიათ, წიგნის კითხვა საკმარისი იყოს ცხოვრებისათვის. ეტყვი სათიბზე წაყოლას — გაკვეთილს მოიმიზეზებენ, საქონელსაც არ გარეკავენ დილით. ვერაფრით ვერ გავაღვიძე ნინელი.

თებექმა თქვა:

— ნინელი კარგად მაინც სწავლობს. ზოგი არც სკოლაში ვარგა, შინაც არაფერს აკეთებს.

ნინელი ჩემთან სწავლობდა, რაზმეულის საბჭოს წევრი იყო და ამით თავი მოჰქონდა; მართალია, მე ისე ქედმაღლურად არ მექცეოდა, როგორც სხვებს, მაგრამ პატარა რამეც რომ შეემჩნია ჩემთვის, ხელად მოსდებდა მთელ კლასს.

ერთხელ, დიდი თანაფის** ხუთშაბათს, მარხულმა მარჯვენა მაჯაზე შელოცვილი შალის ძაფი შემაბა და მითხრა:

—სამ დღეს ატარებ, მერე მოიხსნი და ცეცხლში შეაგდებ, — ავი სულები და ეშმაკები ვეღარ მოგერევიან, თანაფის ძაფისა ძალიან ეშინიათ.

— რატომ ეშინიათ? — შევეკითხე ბებიას.

მიამბო: ერთხელ, ავ სულებს ერთი გლეხის ბულა ხარები მოსწონებიათ და გადაუწყვეტიათ მათი მოპარვა. ხარებს აპეურებად თანაფის ხუთშაბათს დაგრეხილი ბაწარი ჰქონიათ; მისი შეწევნით, ხარებს ფეხქვეშ მოუგდიათ ავი სულები და იქვე გაუთქერავთ.

იმ დღეს ძაფშებმული წავედი სკოლაში. გეოგრაფიის გაკვეთილზე ნინელიმ შენიშნა ეს და სიცილი ატეხა... მერე მასწავლებელთან შემარცხვინა.

იმ დღიდან ვერ ვიტანდი ნინელის...

საქონელი საძოვრებამდე მივდევნეთ.

მზე ამოსული არ იყო, შინ რომ დავბრუნდი.

გაკვეთილები გავიმეორე, წავიხემსე და სკოლაში წასასვლელად მოვემზადე.

მარხული ეზოში მარჯვენა მხრიდან შემომეგება, გზა დამილოცა, თითქოს სადმე შორს მივდიოდი. ყოველ დილით ასე აკეთებდა: კარგი გვარის ქალი ვარ და ჩემი შეხ-



---

* ხოჩა ლალად—გამარჯობა (კარგი დღე).

** თანაფ — აღდგომა.

ვედრა ყოველივე ხიფათს აგაცილებსო. ერთხელ ასეთი რამეც მითხრა:

— სახლიდან გასულს, პირველად თუ გაგუშების კაცი შემოგხვდა, აუცილებლად ან ქვა ისროლე ხელუკულმა, ან უკან დაბრუნდი.

ყოველდღე, სკოლაში წასვლისას, ბებია დერეფანზე გადმოდგებოდა, თვალით მაცილებდა.

როგორც კი ეზოდან გავედი, გაგუშების სორთმანი შემხვდა. არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი, თანაც ნინელის მოვკარი თვალი — ჩანთას მიაქანავებდა და ჩემსკენ იხედებოდა. დერეფნისკენ შევბრუნდი — იქნებ არ მითვალთვალებს-მეთქი ბებიაჩემი, მაგრამ მარხული ისევ იქ იდგა. ხელით რაღაც მანიშნა. მეც ვტაცე ქვას ხელი და თავზე გადავიგდე. კმაყოფილი შებრუნდა ბებიაჩემი. მოვიხედე — ნინელის სახეზე ღიმილი გაკრთა. „ალბათ, მიხვდა ყველაფერს“ — გავიფიქრე.

სკოლისაკენ მოკლე გზით დავეშვი. გზად ლევანს შევუარე. თან იმაზე ვფიქრობდი, არაფერი თქვას-მეთქი ნინელიმ სკოლაში, თან ბებიაჩემის კმაყოფილი სახე მიმყვებოდა. მიხაროდა, რომ ვასიამოვნე.

ჩემს ძახილზე ლევანის უმცროსმა დამ — ფაციმ გამოიხედა. ფაცი ორი კლასით უკან იყო ჩვენზე.

— ამოდი, — თქვა ფაციმ.

— აქ დაგუცდი...

— გამარჯობა, ყანსავ! — ჩანთით ხელში გამოვიდა ლევანი — გაიგე, გოგილი-მსხალა რომ აურჩევიათ ამათი რაზმის ხელმძღვანელად?—მიმითითა ფაციზე,—ნინელის წყალობითაა ყველაფერი...

— მერე რა, იყოს...

—გახსოვს, შარშან შელოცვილი ძაფისთვის რომ დაგცინა?! ხომ არ ჰგონია, შევარჩენთ. ყველა თავის ტყავში დაეტიოს... რას იბერება ნეტავი...

კლასში შევედით. მერხზე ჩამოვჯექით.

— წუხელ ფაცისთვის უთქვამს, მეტიჩარა ხარო. ძალიან გადიდგულდა,—დაიწყო ლევანმა ისევ.

— ვისზე ლაპარაკობთ? — მოვიდა ჩვენთან ნინელი.

— რა შენი საქმეა? — უთხრა ლევანმა.

— გოგილზე ვლაპარაკობთ, გოგილ-მსხალაზე, — მივახალე მე, — შენი ძმაკაცი რომაა... ხელმძღვა...ნე...ლი.

„მსხალა“ უფროსკლასელებმა შეარქვეს გოგილს. ხმა დააგდეს, თითქოს გოგილი ერთი წელი მსხლის გულისათვის ჩარჩა კლასში. თურმე მთელი ზამთარი ბზეში შენახულ საგვიანო პანტას ჩხრეკდა, გაკვეთილები არც კი ახსენდებოდა.

არავინ იცოდა, რამდენად მართალი იყო ეს ამბავი, მაგრამ გოგილი საშინლად ბრაზდებოდა, „მსხალას“ რომ დაუძახებდნენ.

ნინელი ცივად გაბრუნდა და შორიდან მომაძახა:

— ცრუმორწმუნე... ცრუმორწმუნე!.. აბა, შენ ვინ დაგნიშნავდა რაზმის ხელმძღვანელად? ბავშვებს სახარებას წაუკითხავდი!



—ძილისგუდა! მარტო წიგნების კითხვა როდი კმარა!— გავიმეორე მამამისის ნათქვამი.

წყრომით შემომხედა.

მალე მასწავლებელიც შემოვიდა.

მეხუთე გაკვეთილზე დირექტორმა ყველა კლასი დაიარა. რამდენიმე დღის შემდეგ ფუსდის დღეობა იყო და გაგვაფრთხილა, არავინ არ წავსულიყავით ამ დღეობაზე.

— მორიგეები გამოყოფილია. ვინც მათ სიაში მოხვდება, სკოლიდან გაირიცხება.

დირექტორის გასვლის შემდეგ, დამრიგებელმა მეოთხედის ნიშნები გამოგვიცხადა.

ნინელი ხუთოსანი იყო...

მე ერთი სამიანი გამომყვა, გეოგრაფიაში. ეს სამიანი შარშანს აქეთ სულ კუდში დასდევდა ჩემს ოთხებსა და ხუთებს.

* * *

სათიბში ლევანი წამყვა.

მამის დაღუპვის შემდეგ ჩვენს ოჯახში არავინ დარჩა მიწის მომხვნელი. მე გუთანს ვერ ვერეოდი. ამიტომ სახნავი ნაკვეთი სათიბზე გავცვალეთ. სათიბში დილა-საღამოს წყლის შეშვება არც ისე ძნელი საქმე იყო.

ერთ დღეს მამურზასთან მივედი. მამურზა სოფლის უხუცესი იყო და ყველა ხოშა ბაბას* ეძახდა. მან დინჯად ამიხსნა, როგორ უნდა მომევლო „მწვანე მიწისათვის“, სად გამეყვანა სარწყავი რუები, როგორ დამეგო რუს თავში ჩელტი, რომ სათიბში ქვიშანარევი წყალი არ შესულიყო და, რაც მთავარია, უნდა მომერწყა მხოლოდ დილითა და საღამოთი. „შუადღისას, მზეში, ბალახის ძირები გამთბარია, ცივი წყალი თუ მოხვდა—დააჭკნობს“.

მარხული კმაყოფილი იყო ჩემი მუყაითობით. სულ შემომცინოდა. მეზობელ მარეხისათვის უთქვამს:

---

*) ხოშა ბაბა — დიდი ბაბუა.





— ჩემი ყანსავი მამამისივით მარჯვე დადგებაო.

ეს, მარეხის პატარა გოგომ მითხრა.

წინა წელთან შედარებით, მაშინ ორი მარხილით მეტი მოვთიბეთ. თიბვაში ლევანის მამა — ქემეთი და მარეხის ქმარი — ალმაცგილი მომეხმარნენ.

— შენ უკვე ბავშვი აღარა ხარ და ამიტომ გეუბნები: —ამ გზას არ გადაუხვიო, ახლა რომ ადგეხარ. ეს ყველაზე სწორი გზაა. ისწავლე და იშრომე პატიოსნად.

ბებიაჩემი ძალიან აფასებდა ქემეთის სიტყვას. შინ რომ მივედი, შემეკითხა:

—ბიჭო, ქემეთმა არაფერი დარიგება მოგცა? მამაშენი და ის ტოლები იყვნენ...

მე ვუთხარი ქემეთის ნათქვამი...

მარხულმა, როგორც პატარაობისას, კალთაში ჩამისვა, თმაზე ხელი გადამისვა და ისევ მამაჩემზე დამიწყო ლაპარაკი:

— მალე დიდი იქნები... გიერგი შენ გელოდება... მხოლოდ შენ... შენს გაზრდას ელოდება...

ახლა გამახსენდა ბებოს სიტყვები.

სათიბში, მოლზე ჩავჯექი. მწვერვალს გავცქეროდი; ვფიქრობდი მამაჩემზე და თვალწინ მედგა სახლში, ბაბუა იოსების სურათთან დაკიდებული მისი სურათი. თითქოს იგი თეთნულდის წვერიდან მიქნევდა ხელებს და მემუდარებოდა: — გაიზარდე მალე და ამოდი ჩემთან... მე შენ გელოდები, მხოლოდ შენ...

ლევანს უკვე დაეწყო რუს ამოწმენდა.

გვიანობამდე ვიმუშავეთ; სათიბში წყალი შევუშვით და შინისაკენ გავწიეთ.

სგიმთან* ხალხი შეგროვილიყო. ჩვენ თუნგები გვქონდა წამოღებული თან. ლევანმა პირველად ჩემი თუნგი შეუდგა ღარს.

წინათ სგიმი პირდაპირ ღია ცის ქვეშ ამოჩუხჩუხებდა; მერე ძაბრისებურად გადახურეს, ოთხკუთხა კასრი დაუყენეს და ირგვლივ ხის იატაკი დააგეს.

ლაღამის, ლანჩვალისა და სეტის მკვიდრნი აქ მოდიოდნენ. ლეხთაგისა და ახალშენისა კი შგედის სგიმს სვამდნენ. სასმელად, ჩვეულებრივ წყალს არავინ ხმარობდა.

სგიმის ირგვლივ გრძელი სკამები იდგა. სკამებზე ბიჭები ჩამომსხდარიყვნენ, გოგონებს ემუსაიფებოდნენ, აცინებდნენ.

გამიკვირდა: ნინელის გვერდით გოგილი იდგა, რაღაცას ეუბნებოდა. გოგილი ახალშენში ცხოვრობდა, აქ არასდროს არ მოდიოდა ხოლმე. „მსხალას რა უნდა აქ?" — გავიფიქრე.

— ყანსავ, გამომართვი! — დამიძახა ლევანმა, ავსებული თუნგი გამომიწოდა და თავისი შეუდგა ღარს. ..

ვიღაცამ მხარზე ხელი შემახო. შემოვბრუნდი. ნინელი იყო, ოდნავ გაწითლებული მეჩვენა. მორცხვად მიცქეროდა.

— ამივსე მეც, — თქვა ნინელიმ.

კინაღამ ვუთხარი: მსხალა რა წითელი კვერცხია-მეთქი... ჭურჭელი მაინც გამოვართვი, ლევანს მივაწოდე.

ლევანი ჩემს გამო ვერ იტანდა ნინელის. ახლაც დამცინავი ღიმილით უთხრა:

— მაგრა გაუფრთხილდი შენს მეგობარს, — წელი არ მოსწყდეს.

მერე სავსე თუნგი გადმომაწოდა. მე ნინელის გადავეცი.

ნინელიმ ბრაზით შეხედა ლევანს და სწრაფად გაგვშორდა; გოგილი უკან გაჰყვა.

ჩვენც მალე წამოვედით. მზე ჩასულიყო. საღამოს გრილი და სუფთა ჰაერი იდგა. სოფელი ახლოს იყო. მაღალი კოშკები ზღაპრული გოლიათების მკლავებით აღმართულიყვნენ და სოფელში შემოსასვლელი გზებისაკენ მიმართული სათოფურებით თითქოს იდუმალ ხმაზე გასძახოდნენ შორეულ მოგონებებს.

ლაღამის ყანებთან ავედით. სოლთანშების მოსახვევში გოგილი და ნინელი შევნიშნეთ. გოგილი ხელებს იქნევდა, იმუქრებოდა.



მარგიანების სოფელში ვილაცებმა მირანგულა წამოიწყეს. ჰანგები ნელა ირხეოდნენ, სინაზესა და იდუმალებას მატებდნენ საღამოს.

...მეორე დღეს დიდი ღმერთის დღესასწაული — ლილუნვარი იყო.

ოდესღაც, ლენჯერლებს გაუტეხიათ ფუსდის საყდარი. მაშინ მესტიას ვალად დასდებია: ყოველ გაზაფხულს, მაისის პირველ კვირა დღეს, ყველა საძმოს, განრისხებული ფუსდისათვის

* სგიმ — ვეძა, მჟავე წყალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხბოები და ყოჩები შეეწირა, რომ მას ძველებური სიყვარულითა და მზრუნველობით შეეფარებინა მესტიელები თავის კალთისქვეშ.

ამიტომაც დაერქვა ამ დღეობას ლილუნვარი, რაც ხბოთა შეწირვას ნიშნავს. საძმოს წევრები მორიგეობით ასუქებდნენ ხბოებს და ყოჩებს, — ერთ წელს ერთი ოჯახი, მეორე წელს — მეორე...

ჩვენ არც ხბო გვყავდა, არც ყოჩი. მარხულმა უთენია გამოაცხო დიდი ღმერთის სახელობის კვერები და შარშანდლიდან შემორჩენილ თომში გახვია. თომი საქონლის სიმრავლის სიმბოლოდ იყო მიღებული. კერიიდან ნაკვერცხლები გამოჩხრიკა, ასტამზე დააწყო, ნაკვერცხლებს ცვილი დააყარა, მერე ორთავ მუხლზე დაიჩოქა, ხელები ზეაღმართა და ლოცვას შეუდგა.

—ღმერთო მაღალო, ტყუილად როდი შეარქვეს ჰაწვალისა და ლიცლაშის მთებს შორის აღმართულ მწვერვალს სვანებმა თეთნულდი. იგი მართლაც თეთრია და ვერცხლისფრად ბრჭყვიალებს მუდამჟამს. მაგრამ შენ ათასჯერ და მეტჯერაც ნათელი ხარ თეთნულდზე...

...თეთნულდი უშბაზეც და ლაჰლაზეც მაღალია. შენ კიდევ უფრო მაღლა გაქვს სამყოფელი, რათა უფრო კარგად შეხედო სამწყსოს შენსას და გაჭირვებულსა და დავრდომილს მოჰფინო წყალობა, მოუვლინო საშველად წმინდა გიორგი და სულგრძელი მაცხოვარი. შენ ყველაზე ახლოსა ხარ გიერგის სულთან... შეივრდომე იგი.

და კიდევ შეგთხოვ:

— დაიფარე ავი თვალისაგან ყანსავი, — მარხულმა ჩემსკენ მოიხედა, — იგი მამასავით მონაა შენი... შეეწიე კეთილ საქმეში ამ ბავშვს.. დიდება შენ, დიდება!.. — ახლა ეს იკმარე, — თან მარჯვენა ხელით, თომში გამოხვეული კვერი მარჯვნივ შეატრიალა, — მალე ფუსდში ამოვალთ მე და ეს ბავშვი, შენი საყდრის კარებს ვემთხვევით და კვლავ გადიდებთ, — მარხული წამოდგა, მარჯვნივ შეტრიალდა; მეც იგივე გავიმეორე. როცა ლოცვასა და კურთხევას მორჩა, ვკითხე:

— მეც ამოვიდე საყდარში?

მინდოდა მეთქვა, რომ მე არ წავიდოდი, მაგრამ მომერიდა ბებიასი. ვიცოდი — საშინლად ეწყინებოდა.

— თვალი დაუდგეს სიბერეს. შარშან კი შევძელი, მაგრამ წელს როდიღა შემიძლია მარტო ავიდე ფუსდში. მუხლები არ მივარგა. ზედაშეს შენ წამოიღებ. აღმართში მომეხმარები. შენთვის ვილოცებ, თორემ მე რაღა აწი...

მარხულს შავი თავსაფარი გამოეცვალა, თვითონაც გამოცვლილიყო, მხიარული არასდროს არ მინახავს ბებია, ახლა კი კარგ ხასიათზე იყო. შარშანდელი ჩემი აღთქმა გამახსენდა, ახლაც იგივე გავიფიქრე:

„არა, ბებიას არასოდეს არ ვაწყენინებ“. მართლაც, როგორ შემეძლო, მეწყენინებინა მისთვის, მით უმეტეს ახლა —ასეთ კარგ გუნებაზე იყო...

* * *

ფუსდის ეკლესია ზემოდან დაჰყურებდა სოფელს.

კაცებს ახალი ჩოხა-ახალუხები ჩაეცვათ, წელზე ხანჯლები შემოერტყათ, ქუდები გვერდზე დაეხურათ, ერთი მეორეს მიჰყვებოდნენ.

მიდიოდნენ ნელი ნაბიჯით, შესაწირი ხბოებითა და ყოჩებით... ქალებიც აქ იყვნენ. თავზე დადგმული მრგვალი ფიჩქებით* დიდი ღმერთის სახელობის ლესკარები** მიჰქონდათ. პატარა ბავშვებს კათხები და ნათავედით სავსე ბოთლები ეჭირათ...

მახსოვს, პატარაობისას ჩვენი დერეფნიდან ვუყურებდი ფუსდში მიმავალთ. მაშინ მთელი სოფელი დადიოდა ლილუნვარის დღეობაზე. გზაზე ტევა არ იყო ხოლმე.

მერე, ახალგაზრდები და ზოგიერთი ხანდაზმულიც თანდათან ჩამოშორდნენ. წინანდებური გულმოდგინებით უხუცესებიღა ასრულებდნენ ყველა რიტუალს.

ჩვენს წინ ილარიონშების საძმოს წევრები მიდიოდნენ. სამარხილო გზაზე, ქელეში შენიშნეს, ხარებით შეშა მოჰქონდა ამ დილაადრიან. პირჯვარი გადაიწერეს, შეუკურთხეს, გაჯავრებული მზერა გააყოლეს. დღესასწაულის დღეს მუშაობა ღვთის გმობად მიაჩნდათ.

ფუსდთან უკვე შეგროვილიყვნენ.

მე და ბებია ხელი-ხელჩაკიდულნი შევედით საყდრის ეზოში. ქალებიცა და კაცებიც მადლობას მეუბნებოდნენ, რომ ასე ვზრუნავდი მარხულზე:

— ობოლი ბიჭი ხარ და, ფუსდი შეგეწევა, შვილო...



საყდარში ბნელოდა. ჯმუხი, წითელულვაშა კაცი შესაწირს შესაწირზე იღებდა. მაღალ ღმერთისა და ლამარიას ბოხი ხმით ავედრებდა შემწირავის ოჯახის წევრებს, საქონელსა და მოსავალს...

კვერებს თვითონ იტოვებდა, საგანგებოდ გამზადებულ კალათში ყრიდა. ამბობდნენ, იმდენს კვერს აგროვებს, მთელი კვირა პურის გამოცხობა არ ჰირდებაო...

მალე ყოჩების შერკინება დაიწყო. ყოჩებს აღიზიანებდნენ და ერთმანეთისაკენ უჯიკავებდნენ. ისმოდა რქათა ჯახანი და დამარცხებულის ამობღავლება. ბოლოს, ორი თეთრი ყოჩიღა შემორჩა მოედანს. ისინი ჯერ უკან დაიხევდნენ, მერე მთელი სისწრაფით გამოექანებოდნენ ერთმანეთისაკენ. ყოველ დაჯახებაზე, ხალხს გმინვა აღმოხდებოდა ხოლმე, — ორივე ყოჩს თავისი გულშემატკივრები ჰყავდა.

კარგა ხანს იბრძოლეს ყოჩებმა. არც ერთი არ თმობდა პირველობას.

ბოლოს, მსხვილრქებიანს რქისძირებში სისხლი წასკდა; სისხლი შუბლს ჩამოჰყვა, მარჯვენა თვალში შეაყონა, გასისხლიანებული მაინც ძველებური შეუპოვრობით იბრძოდა.

ძალიან მინდოდა, მას მოეგო ბრძოლა.

ერთხელ, ნიკოშების სოზარი სეტიელ ბაუჩის ეკრივებოდა. რატომღაც, სოზარს სისხლი წასკდა ცხვირიდან, ამიტომ ხალხმა იგი ჩათვალა დამარცხებულად.

მე ყველას ვარწმუნებდი, სოზარი მეტს ურტყამდა-მეთქი, მაგრამ არავინ დამიჯერა. ეს გამახსენდა ყოჩების ჭიდილის დროს, ამიტომაც მინდოდა დასისხლიანებულის გამარჯვება.

ყველანი რკალად შემორტყმოდნენ ყოჩებს. ნათავედგადაკრულები, გატაცებით უყურებდნენ ორთაბრძოლას.

* ფიჩქ — პატარა, სამფეხა მაგიდა.

** ლესკარ — დიდი ზომის პური, საგანგებოდ გამომცხვარი.

ხმას არ იღებდნენ, ყოჩების მოძრაობას აყოლებდნენ ხოლმე ტანს და წვერებზე ხშირ-ხშირად ისვამდნენ თითებს...

ბოლოს, დასისხლიანებულმა გაიმარჯვა.

მე შვებით ამოვისუნთქე.

ხალხი გრძელ ფიცრებზე ჩამოსხდა, — სოფლის საქმეებზე გამართეს ბჭობა.

დაინიშნა დღე, რომლის შემდეგაც საქონლის უმწყემსოდ გაშვება იკრძალებოდა.

გადაწყდა ენგურიდან სარწყავი არხის გამოყვანა.

სხვა საქმეებზეც ითათბირეს.

მზე ლეჯჰარის ქედზე გადადიოდა. ხალხი აიშალა, მე ბებოს ხელი ჩავკიდე, დაცლილი ბოთლი მეორე ხელში დავიჭირე და დაღმართს დავუყევით...

კოწახურისა და თხილის ბუჩქების უკან უფროსკლასელები შევნიშნე, მერე — გოგილი-მსხალა და ნინელი.

ყველას ბლოკნოტი და ფანქარი მოემარჯვებინა.

გამახსენდა დირექტორის გაფრთხილება... მაგრამ, რა მექნა!..

უფრო მარჯვედ ჩავკიდე ხელი მარხულს.

• • •

ორშაბათს გაკვეთილები ჩვეულებრივად დაიწყო...

ისტორიის მასწავლებელმა ჯვებე გამოიძახა. ისევ ორიანი დაუწერა. შეეკითხა: — რას ნიშნავსო განიარაღება.

ჯვებემ უპასუხა — შეიარაღებასო.

ყველანი ვხარხარებდით. ჯვებე კიდევ იტყოდა რაიმე სასაცილოს, მაგრამ მასწავლებელმა მალე დასვა.

— კარგი ამხანაგები ჩამორჩენილს ეხმარებიან, თქვენ კი... რა არის აქ სასაცილო?!. — თქვა მასწავლებელმა.

ბოლო გაკვეთილიდან დავეთხოვე. წუხელ ბებიაჩემი ავად გახდა. გულის შეტევები დაეწყო. დღეს დილით ლოგინში დავტოვე.

საღამოს კიდევ უფრო ცუდად შეიქნა. ღამე ვუთიეთ მე, ლევანმა და ორმა მეზობლის ქალმა. მეორე დღეს არც მე წავსულვარ სკოლაში, არც ლევანი.

ზოგჯერ ლაპარაკს ახერხებდა ბებია; მარიგებდა, როგორ მოვქცეულიყავი, რომ ოჯახის სახელი არ შემერცხვინა.

შუადღისას ჯვებეს და — ცაცუ მოვიდა. წამლები მოიტანა. იმ ღამეს უკეთ გრძნობდა თავს მარხული. დილით გვთხოვა, წავსულიყავით სკოლაში. მეზობლის ქალებიც დაითხოვა. არ მინდოდა მარტოკა დამეტოვებინა, მაგრამ რომ არ დამეჯერებინა — ეწყინებოდა.

დამრიგებელმა რაღაც სხვანაირი თვალით შემომხედა ლევანს ვუთხარი — რას ნიშნავს-მეთქი ეს. არაფერი მიპასუხა.

მალე, დირექტორი შემოვიდა.

— დღეს, გაკვეთილების შემდეგ, კრება იქნება. განიხილება ყანსავისა და ორიოდე სხვა მოსწავლის... სკოლიდან გარიცხვის საკითხი. მთელი კლასი დაესწრება, — თქვა დირექტორმა და კლასიდან გავიდა.

—აბა, ვინ გაურიცხავთ, რომ შენ გაგრიცხონ!—მანუგეშებდა ლევანი. სხვებიც მანუგეშებდნენ...

გოგილი პირდაპირ თვალებში მიყურებდა. არ ვიცი, რას ფიქრობდა, მაგრამ მე მეჩვენებოდა, თითქოს მეუბნებოდა: „ახლა ხომ გაიგე, ვინცა ვარ მე."

ნინელი კარებისაკენ იხედებოდა, ჩემსკენ ერთხელაც არ შემობრუნებულა.

„...სკოლიდან გარიცხვის საკითხი"... — დამკრა თავში... წარმომიდგა მთელი საშინელება. როგორც კი გავიდა დირექტორი, წიგნებს წამოვავლე ხელი. კარებში რომ გამოვდიოდი, ნინელისკენ მივიხედე. მან ისევ ამარიდა თვალი. ჩემს ეზოში რომ შევედი, ოდნავ დავმშვიდდი, სხვა თვალით შევხედე ჩემს მდგომარეობას; ვიფიქრე — დავბრუნდები-მეთქი და ვიტყვი კრებაზე, რატომაც ვიყავი ლილუნვარის დღეობაზე ფუსდის საყდარში.

უცებ, იმედი მომეცა, რომ ყველანი გამიგებდნენ, მაგრამ... მაინც მრცხვენოდა... მერე ბებიაჩემი გამახსენდა და მაჩუბში შევვარდი.

მარხულმა თვალები გაახილა, შემომხედა. შუბლზე ოფლის წვეთები აჩნდა. მივხვდი, ცუდად იყო საქმე. ექიმის დაძახება დავაპირე, მაგრამ ბებიამ თავი გააქნია — არ არისო საჭირო. მერე რაღაცის ჩიფჩიფი დაიწყო. ბოლოს ძალა მოიკრიბა და წამოილუღლუღა:

— კარგად იყავი, ჩემო ბიჭო... —ამ სიტყვებმა ამატირეს... — შენ რომ შარშან ლეხზირში თხებს მწყემსავდი, ნინელი მეხმარებოდა თივის დაბულულებაში; ნინელი კარგი გო...გო...ა...

ვერ მივხვდი, რატომ ამბობდა ამას ბებია; შარშან რომ ვკითხე, ვინ გეხმარებოდა-მეთქი, მიპასუხა — ქალები იყვნენო...

მერე მამაჩემზე დაიწყო:

— იგი შენს გაზრდას ელოდება...

მეტი არაფერი არ უთქვამს ბებიაჩემს...

— ჩემო ბებო, ჩემო საყვარელო ბებო, — ჩავძახოდი მარხულს, მაგრამ იგი ხმას აღარ მცემდა. ჩემს სიცოცხლეში პირველად არ გამცა ხმა ბებიაჩემმა.

მთელი ხმით ვტიროდი. ვტიროდი სულმოუთქმელად, გულამოსკვნით.

— ბებო, ჩემო ბებო, რატომ ხმას არა მცემ! —გაცივებულ ხელებზე თითებს ვუსვამდი...

ვიგრძენი—ვიღაცები შემოვიდნენ; თავი კარისკენ მივაბრუნე. ნინელი და გოგილი აღმოჩნდნენ.

მალე, ლევანიც შემოვიდა, თან ქემეთი და ალმაცგილი ახლდნენ; როგორც შემდეგ გავიგე, ისინი ლევანს ჩემს დასაცავად მიეყვანა კრებაზე. იქ რომ არ დავხვდი, აქ წამოსულან. ლევანმა ამაყენა, დამამშვიდა.

ქემეთი და ალმაცგილიც მამშვიდებდნენ: — გეყოფა ტირილი, ვაჟკაცი არა ხარ? გამაგრდი. ახლა შენ იცი, როგორ გაუძლვები ოჯახს.

მერე ლევანმა კუთხეში მიმდგარ გოგილსა და ნინელის მიმართა:

— უთხარით დირექტორს, რომ კრებაზე ვერ წამოვა ყანსავი. და კიდევ უთხარით: ამიერიდან არ გაიქეთებს შელოცვილ ძაფებს და ფუსდშიც არ წაიყვანს მარხულს...

ცრემლი მოვიწმინდე, ამხანაგებს გადავხედე. ნინელი ჩუმად ქვითინებდა, გოგილსაც ჩაეღუნა თავი.. ადგილიდან არ იძვროდნენ.

ქემეთმა თქვა: — ნურაფრის ნუ გეშინია. ჩვენ აქ არა ვართ?..

• • •

დავმარხეთ ბებიაჩემი.

ამხანაგები გვერდიდან არ მშორდებოდნენ. მადლობელი ვიყავი ყველასი.

ძლიერ ვნანობდი — „მსხალას" რომ ვეძახდი გოგილს.

ლევანის შემდეგ იგი გახდა ჩემთვის ყველაზე ახლობელი.

ბებოს დაკრძალვიდან ერთი კვირა გავიდა.

ორშაბათ ღამეს ლევანი ჩემსას დარჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დერეფანზე დავწექით. მთვარიანი ღამე იყო. სიჩუმეს მხოლოდ ენგურის ღრიალი არღვევდა. გვიან ჩაგვეძინა.

მესიზმრა, — ვითომ ვიღაც შაოსანი დედაკაცი მოვიდა ჩემთან; ტიროდა, თან სახეზე ხელს მისვამდა. მე მსიამოვნებდა, მაგრამ სადღაც ძალიან მტკიოდა რაღაც, და ეს ტკივილი შორეულს და უცნობს ხდიდა შაოსნის ალერსს...

უეცრად, დერეფნის კარის ჭრიალმა გამომაღვიძა. წამოვხტი. კარებში შაოსანი ქალი გადიოდა. მან წუთით უკან მოიხედა. თეთრი სახე ჰქონდა, დიდი თვალები და ჩემსავით სწორი, ოდნავ მაღალი ცხვირი.

მერე ჭიშკარმაც გაიჭრიალა.

ლევანს გამოეღვიძა.

— კიდევ ტიროდი? — თქვა მან.

— არა, ლევან, მე არ ვტიროდი... ეს შაოსანი იყო. სიზმარში ვნახე, — როგორ ტიროდა. ის იყო... შავთავსაფრიანი.. ნათელი სახე... დიდი თვალები და ჩემსავით ოდნავ მაღალი, სწორი ცხვირი...

მე ღაწვებიდან მისი კურცხლები მოვიწმინდე. ისინი არაფრით არ განსხვავდებოდნენ ჩემი ცრემლებისაგან.

მეორე დილით ეზოში მსხვილრქებიანი, ნიშა ხარი ება. გამიკვირდა, ჩემი არ იყო და სხვის ხარს რა უნდოდა ჩემს ეზოში!

კარის მეზობელი ივანე შემოვიდა.

ჩამჩურჩულა: — ეს წუხელ ჩამოიყვანეს ჰადიშიდან... მარხულის ორმოცისათვის... ფარსაგად მსუქანია...

...ხარი იმ დღესვე წავაყვანინე ლევანს ჰადიშში...

• • •

მერვე კლასი დავამთავრე...

მხოლოდ ჯვებემ ვერ დაამთავრა მერვე კლასი...

დარჩა...

ძალიან გვეწყინა მისი დარჩენა...

ახლა ვიგრძენით ჩვენი შეცდომა — ხომ შეგვეძლო ჯვებეს გამოსწორება? ჩვენ კი ვიცინოდით და ვაქეზებდით სისულელეებისაკენ.

ახლა ყველაფერი გვიან იყო...

...მუშაობაში დღეები ჩქარა მიჰქროდნენ.

რაც შემეძლო, ვცდილობდი — გამემართლებინა ბებიაჩემის იმედი.

მეზობლები, როგორც ტოლთან, ისე მოდიოდნენ ჩემთან, საციქველზე. მეც დავდიოდი მათთან. ყველანი მპირდებოდნენ თიბვაში მოხმარებას.

მიხაროდა, რომ იმ წელს მეც დავიწყებდი თიბვას...

ქემეთმა ცხრა ნომერი ცელი მიშოვა, გამილესა და ტარი გაუკეთა. ლევანი დედულეთში იყო. მის მაგივრობას ფაცი მიწევდა. ყოველ შაბათს მომაკითხავდა. ძალით წაიღებდა სარეცხს, მილაგებდა ოთახს.

ბაბუა იოსებისა და მამაჩემის სურათებს მარხულის სურათიც მიემატა.

მე რატომღაც არ მინდოდა მამაჩემის სურათი ბაბუა იოსებისა და მარხულის სურათების გვერდით ყოფილიყო დაკიდებული. ჩამოვხსენი, სარკმლის მოპირდაპირე მხარეს დავკიდე, — აქედან თეთნულდი მოჩანდა.

„იგი შენ გიცდის, მხოლოდ შენ“... — მახსენდებოდა ბებიაჩემის ნათქვამი. „ჰო, იგი მე მიცდის, მხოლოდ მე“, — ვიმეორებდი გულში.

ჩვენ ლამარიას საყდრის ეზოში გვქონდა სამარხი. საძმოს ყველა წევრი აქ განისვენებდა. მხოლოდ მამაჩემი იწვა თეთნულდის კალთებზე. მხოლოდ მამაჩემი აკლდა ამ სამარხს.

დილით უთენია ვდგებოდი, გომურიდან საქონელს გამოვუშვებდი, ენგურისპირა ჭალებისკენ ვერეკებოდი...

გზადაგზა სხვებიც მიერთდებოდნენ; ვესალმებოდი. წესით, შემოერთებული იძლევა პირველად სალამს, მაგრამ ისინი უფროსები იყვნენ და მე მმართებდა დამესწრო „ხოჩა ლადაღ“.

ილარიონის ნაცვლად ნინელი მხვდებოდა მათ ჭიშკართან. გამიღიმებდა, ხელს ჩავკიდებდით ერთმანეთს და უფროსების გვერდით მივაბიჯებდით.

ჩვენ გვიხაროდა უფროსების გვერდით სიარული. ისიც გვიხაროდა, რომ ტოლებივით გველაპარაკებოდნენ და გვეკითხებოდნენ ქვეყნის ამბებს.

ნინელის ჰქონდა ძალიან თბილი ხელი, თვალებიც თბილი და ცისფერი ჰქონდა. ისეთი ცის ფერი, თეთრ მწვერვალს რომ ახვევია ირგვლივ...

თეთრი მწვერვალი...

იგი, ლიცლაშისა და ჰაწვალის მთებს შორის აღმართული, თვალისმომჭრელად ბრჭყვიალებდა. თითქოს დასცინოდა ვიღაცას, მაგრამ მე აღარ მეშინოდა მისი დაცინვისა...

— ხომ ავალთ ჩვენც თეთრ მწვერვალზე? — ვკითხე ნინელის, — ჩვენთან ერთად იქნებიან ლევანი, ფაცი, გოგილი და... ჯვებეც ჩვენთან იქნება.

მაშინ მამაჩემის სურათს პირვანდელ ადგილზე დავკიდებ.

ნინელიმ თავი ასწია, მისი თვალები ჩემსას გაუსწორდნენ, რადგან ტოლები ვიყავით.

პირდაპირ კი თეთრი მწვერვალი კაშკაშებდა...






დახორბლილს, ოღონდ ჯერ კიდევ მწვანესა და დაუპურებელ ყანას ოდოჟღერი ჰქვია.

ნორჩი ავტორის ნაწარმოები, ლექსი იქნება იგი, მოთხრობა, ნარკვევი თუ ნახატი,—ოდოჟღერსა ჰგავს; ჩანასახი არსებობს, ოღონდ ეს ჩანასახი ჯერ კიდევ ნედლი, მოუმწიფებელი და დაუსრულებელია.

ამიტომ დავარქვით ჩვენი ჟურნალის ამ ახალ განყოფილებას (ნორჩი ავტორების შემოქმედებას) **ოდოჟღერი.**

# პირველკლასელი

— იცი, ლია! მე უკვე სკოლაში დავდივარ! — აღტაცებით ეუბნება მოსწავლის ფორმაში გამოწყობილი, ნაწნავებიანი პატარა გოგონა ამხანაგს.

— შენი ტყუილები შენთვის შეინახე! — შენ თუ გაიზარდე, მეც ხომ ვიზრდები! — გაბუტვით უპასუხა ვარდისფერკაბიანმა გოგონამ.

— მაშ, არა გჯერა?! აგერ ჩემი ჩანთა, — და გოგონამ თავისი ჩანთა მოარბენინა, გახსნა და წიგნი ამოიღო.

— აქ რა სწერია?

— ა-ი ი-ა, — დამარცვლით წაიკითხა ფორმიანმა.

— მართლა იაა, მე მინახავს ნამდვილი ია, — სიხარულით ამბობს გოგონა და სურათს დასცქერის...

— თამრიკო!—მოისმა ამ დროს მახილი. ფორმიანმა დედის ხმა იცნო და სახლისაკენ გაეშურა.

• • •

ნახევარი საათის შემდეგ თამრიკომ ისევ ჩამოირბინა ეზოში. პატარები თამაშმა გაიტაცა. მერე მათი ყურადღება ნაყოფით დახუნძლულმა შინდის ბუჩქმა მიიპყრო.

— ლია, მოდი, შინდი მოვკრიფოთ.

ორივე გულდაგულ კრეფს შინდის ვარდისფერ ნაყოფს.

— შინდი, შინდიიიი! —იძახის ერთი.

— შინდიიიი! — ბანს აძლევს მეორე და ეზოში დოინჯშემორტყმული დადის, — ცდილობს უფროსებს მიბაძოს.

— აბა, იყიდეთ მწიფე შინდი, კარგი შინდი!

ორივე გულიანად იცინის.

მზე კი გულკეთილი ღიმილით დაჰყურებს კუდრაჭებს და მათ გულუბრყვილო ცელქობაზე ოქროსფერი ტუჩებით იღიმება.

• • •

— თამრიკო! — ისევ ისმის ზემოდან.

აივანზე გადმომდგარი დედა სიყვარულით ჩამოსცქერის შვილს.

— კმარა თამაში! ახლა გაკვეთილები მოამზადე.

თამრიკო უყოყმანოდ ანებებს თამაშს თავს. შინდს ლიას უყრის კალთაში და დინჯი, სერიოზული სახის გამომეტყველებით შინისაკენ მიემართება.

ვარდისფერკაბიანმა ლიამ გულდაწყვეტილი მზერა გააყოლა თამრიკოს და მერე ცრემლმორეულმა დედასთან მიირბინა, მუხლებზე აუცოცდა, თავი მკერდზე მიაყრდნო და ასლუკუნდა:

— მე როდისღა წავალ სკოლაში? თამრიკო უკვე დადის და გაკვეთილებსაც სწავლობს.

დედას გაეღიმა.

— ნუ დარდობ, შენი დროც მოვა, შენც მალე დაიჭერ წიგნს ხელში, — ეალერსება დედა, — შენც მალე გაახარებ დედას ხუთებზე სწავლით!

დედის მკერდზე მიყრდნობილ ლიას ძილი ეპარება, თვალები ელულება.

— ჰო, დედა, ჰო! მეც ხომ მიყიდი ისეთ ფორმას, თამრიკოს რომ აქვს?

ძილი ეძალება პატარა ლიას.

— გიყიდი, შვილო, უსათუოდ გიყიდი! — ჩურჩულებს დედა და გულში შვილის სიყვარული ეღვრება.

სძინავს პატარას. მის პაწია, ვარდისფერ ტუჩებს ღიმილი დასთამაშებს. სიზმარში სკოლის მერხს მისჯდომია და „დედა ენას" ფურცლავს...

იძინე, ბავშვო! შენს სიმშვიდეს დედა დარაჯობს! მალე გაიშლება შენი ოცნების ფრთები.

**გვანცა კოპლატაძე,**
თბილისის 23-ე სკოლის X კლ. მოსწავლე.



**მამლუქი** — ქანდაკება **ირაკლი მარგველაშვილისა,** თბილისის 51-ე სკოლის მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო
თენგიზ ფურცხვანიძისა



# ორი თასის მფლობელი გუნდი

მესამე წელია, რაც თბილისის მე-4 საშუალო სკოლის პიონერები ჭადრაკის თამაშს ეუფლებიან. ამ მცირე დროის მანძილზე მათ კარგ შედეგებს მიაღწიეს. შარშან, ამ სკოლის მოჭადრაკეთა ნაკრებმა გუნდმა ლენინის სახელობის რაიონის პიონერთა სახლის გარდამავალი თასი მოიპოვა. მაგრამ მიღწეულით არ დაკმაყოფილებულან ისინი. მიმდინარე წელს ბორის ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის გარდამავალი თასის მფლობელები გახდნენ; თბილისის პიონერულ რაზმეულებს შორის პირველი ადგილი დაიკავეს.

წელს კარგი წარმატებებით გამოდიოდა ნინო ხუბულური და ამიტომ იგი თბილისის მოსწავლე-მოჭადრაკეთა ნაკრებში შეიყვანეს. მეხუთეკლასელ გოგონას უნდა დაეცვა დედაქალაქის სპორტული ღირსება საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადაზე. ნინომ გაამართლა ნდობა: ყველა შეხვედრაში გაიმარჯვა და გუნდს საჭირო ქულები შემატა.

ამ ნიჭიერი, მესამე თანრიგოსან მოჭადრაკე გოგონას გაბედული და გააზრებული თამაშის საილუსტრაციოდ მოგვყავს ერთ-ერთი პარტიის დაბოლოება, რომელიც მან მეორე თანრიგის მოჭადრაკესთან ითამაშა.



ამ პოზიციაში შავები დანებდნენ. თეთრების უკანასკნელი სვლა იყო 23. კf4: d6+(!) (კუმ d6-ზე აიყვანა შავი პაიკი).

ამ უკანასკნელ წლებში ლენინის სახელობის რაიონში ბევრი ნიჭიერი მოჭადრაკე გამოვლინდა: ზურაბ რუხაძე, კახი ჩიგოგიძე, მერაბ ძნელაძე, დიანა მელქაძე (მე-4 სკოლა), გიორგი იახაშვილი (112-ე სკოლა), ნუგზარ სეფიაშვილი, ჯამლეტ მერებაშვილი (მე-10 სკოლა), ნატო ბალაშვილი, რამაზ შარაშენიძე (მე-15 სკოლა), სერგი პანტურია (116-ე სკოლა), გია მაზავრაშვილი (81-ე სკოლა), რევაზ ხვედელიძე (86-ე სკოლა), უშანგი გელდიაშვილი (108-ე სკოლა), თენგიზ გრძელიშვილი (მე-16 სკოლა), ვარლამ ვეფხიშვილი (მე-8 სკოლა) და სხვები.

სურათზე: ორი თასის მფლობელი თბილისის მე-4 სკოლის პიონერთა რაზმეულის ნაკრები გუნდი. (მარცხნიდან მარჯვნივ) დემურ ლონგურაშვილი, ნინო ხუბულური, თეიმურაზ მექერიშვილი, მერაბ ძნელაძე და კახი ჩიგოგიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ი. ბოჩკოვი

ნახატები **გიორგი თოთიბაძისა**

# დაუჯერებლობის კანონი

პრესკონფერენციის დაწყება ორჯერ გადადეს, — ჯერ ერთი საათით, მერე ორი საათით. ლოდინით არაქათგამოცლილი ჟურნალისტები დერეფანში დაბორიალებდნენ, ბუტერ-ბროდებს ილუკმებოდნენ და მარჩიელობდნენ—ვერაფრით ვერ მიმხვდარიყვნენ პრესკონფერენციის დაგვიანების მიზეზს.

განთქმულმა ოხუნჯმა პიტერ ჰიუზმა იხუმრა:—შვიდსაათიანი ფრენის დროს, რაკეტა ალბათ გახურდა და ახლა ცივდება. მისმა მეგობარმა, წოწოლა პატრიკ ნელსონმა, რომელიც ყველაფერს სერიოზულად იღებდა, თქვა:

— რაკეტა ზღვაში ჩავარდნილა. ამ ბოლო დროს რაღაც ძალზე ხშირად ცვივიან ზღვაში რაკეტები...

ჰიუზმა აუღელვებლად უპასუხა:

— ალბათ ზღვა ახლაც დუღს, ვინ ჩავა ადუღებულ წყალში!

— კარგი დეტალია, შეიტანე, პატრიკ, შენს მეცნიერულ-ფანტასტიკურ რომანში.

ყველამ გაიცინა, რადგან იცოდნენ, რომ ნელსონი დიდი ხანია ამაოდ ეპოტანებოდა კოსმოსის თემას.

ჟურნალისტები სენსაციას ელოდნენ, და აი, რატომ: ცნობილი გახდა, რომ რაკეტამ ფრენის დასრულებისას შესამჩნევად გადაუხვია წინასწარ განსაზღვრულ ტრაექტორიას.

ჟურნალისტები, როგორც მათ საერთოდ ჩვევიათ, ათასგვარ ჭორს თხზავდნენ. მეცნიერები თავს იკავებდნენ დასკვნებისაგან, ფაქტების შეჯერებას ელოდნენ. მათ განუმარტეს ხალხს, რომ გაფრენის ტრაექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორია ელექტროგამომთვლელმა მანქანამ—„მერიმ“ გამოთვალა, მან ყველაფერი იგულისხმა: ტემპერატურა, სინესტე, ატმოსფერული წნევა, ქარის სისწრაფე, დედამიწის მაგნიტური მიზიდულობა, და კიდევ ათასი სხვა რამ. რაკეტა მაინც არ მიფრინავდა წინასწარ განსაზღვრული მიმართულებით.

როგორ კი ეს ამბავი შეამჩნიეს, მეცნიერებმა იმწამსვე დაიწყეს მიზეზის ძებნა. ელექტროგამომთვლელი მანქანის ენაზე თარგმნეს საწყისი მონაცემები, ახალი ტრაექტორიის ელემენტები, დაუსვეს კითხვა — „რატომ“, და „მერის“ საანგარიშო მოწყობილობაში ჩასვეს. მანქანამ აახამხამა მრავალფერი თვალი და, ბოლოს, გადმოალაგა თავისი შეხედულებები:

1. დედამიწის მასის მოულოდნელი შეცვლა 12 მილიონი ტონით.

2. რაკეტის წონის გაზრდა ორასცამეტი გრამით.

3. დედამიწის გადაადგილება ჩვეულებრივი ორბიტადან.

. . . . . . . . . . . . . . .

11. რაკეტის სიახლოვეს დიდი მეტეორიტის გავლა.

48. ვარსკვლავთშორისო სამყაროში გაფანტული გაზის სიმკვრივის შეცვლა.

როდესაც პასუხების რიცხვმა ასამდე მიაღწია, მოლაყბე „მერი“ გამორთეს. სამეცნიერო საბჭოს ხანმოკლე თათბირის შემდეგ მანქანა კვლავ ჩართეს. გადაწყვიტეს, ეკითხათ—ჩამოთვლილი მიზეზებიდან რომელი შეიძლება იყოს ყველაზე სარწმუნო. მანქანა პასუხობდა, რომ ამ მიზეზის დასახელებას ვერ შეძლებს, რადგან მოსალოდნელია რამდენიმე მიზეზი ერთდროულად მოქმედებდესო. ეს თქვა და „მერიმ“ თვითონვე გამოირთო თავი, ალბათ იფიქრა, ამ თემაზე მეტი მსჯელობა აღარ ღირსო.

ცხადი იყო, რომ საბოლოო პასუხს მხოლოდ და მხოლოდ თვით რაკეტა იტყოდა, თუ კი საერთოდ დაბრუნდებოდა უკან.

* * *

რაკეტა ოკეანეში ჩავარდა. ორმა ნაღმოსანმა იგი უახლოეს ნავსადგურში მიაცურა.

18 საათზე ჟურნალისტები დარბაზში შეცვივდნენ. პრესკონფერენცია დაიწყო. საცდელი რაკეტის ფრენის შედეგებზე ილაპარაკა გამოჩენილმა მეცნიერმა ჯეიმს ჯონსმა,

აი, მეცნიერების ისტორიაში ამ უპრეცენდენტო პრესკონფერენციის სტენოგრაფული ჩანაწერი.

**ჯეიმს ჯონსი:** ბატონებო! ნუ იხმაურებთ!

წინასწარ გამოთვლილი ტრაექტორიიდან რაკეტის გადახვევის მიზეზი უკვე ცნობილია;

რაკეტის წონა წინასწარგანსაზღვრულთან შედარებით, მეტი იყო. მასში, როგორც მტკიცდება, ადამიანი ყოფილა...

**ხმა დარბაზიდან:**—ადამიანი?!

— ღმერთო ჩემო, ადამიანი?!

— როგორ თუ ადამიანი?!

— სად არის იგი ახლა?!

**ჯეიმს ჯონსი:** მე ვიზიარებ თქვენს სიხარულსა და გაოცებას, ბატონებო. რაკეტაში ადამიანი მჯდარა, ეს აშკარად ჩანს, მაგრამ რაკეტა რომ დაეშვა, შიგ არავინ იყო... თუმცა კვალი კი დატოვა; აღმოჩენილია ჩანაწერები. აი, ეს რვეული, ბატონებო! მასში წვრილად არის მოთხრობილი კოსმოსში უნებლიედ მოხვედრილი ადამიანის განცდები.

პიროვნების ვინაობა არ არის დადგენილი. ჩანაწერებში იგი არ ასახელებს გვარს. არის მოსაზრება, რომ იგი ერთ-ერთი იმ სპეციალისტთაგანია, რომლებმაც რაკეტა დაათვალიერეს გაფრენის წინ. ახლა წაგიკითხავთ ჩანაწერებს:

„როგორ მოვხვდი რაკეტაში, ამას მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი ისაა, როგორ ვგრძნობდი თავს ფრენის დროს. პირველი შეგრძნება საზარელი იყო. რაღაც საშინელმა ძალამ იატაკს მიმაკრა. უხერხულად გავიშხ-






**ფ. ენგელსი** პიროვნება ხასიათდება არა მარტო იმით, თუ რას აკეთებს, არამედ იმითაც, თუ როგორ აკეთებს.

**შ. მონტესკიე** უსაქმო ადამიანი ყოველთვის დიდი ლაქლაქაა: რაც უფრო ნაკლებად ფიქრობ, მით უფრო ბევრს ლაპარაკობ.

**პითაგორა** ხანმოკლე წარუმატებლობა სჯობია ხანმოკლე წარმატებას.

**ლ. ფეიერბახი** ადამიანი მხოლოდ მაშინ აღწევს რაიმეს, როცა თავის ძალაშია დარწმუნებული.

**ფეოგნიდი** მრავალნაირად გამოსცადე მეგობრების ხასიათი, განსაკუთრებით დაუკვირდი ვინ როგორია სიბრაზის დროს.

**მარკუს ავრელიუსი** გავაკეთე რამე საზოგადო კეთილდღეობისათვის? მაშასადამე, მე მოვუტანე სარგებლობა ჩემს თავს. ნურასოდეს ნუ მოიშორებ ამ აზრს და ნურავითარ მდგომარეობაში ნუ აიღებ მასზე ხელს.

**ჰეგელი** ბედნიერების საიდუმლოება მდგომარეობს იმაში, რომ გქონდეს უნარი საკუთარი „მე"-ს წრიდან გამოხვიდე.

**ალმოსავლური თქმა** ჭკვიანი ადამიანები სწავლობენ იმისათვის, რომ იცოდნენ, არარაობანი კი იმისათვის, რომ მათ იცნობდნენ.

**მ. გორკი** ჩემთვის წიგნი სასწაულია, მასში დატყვევებულია მისი დამწერის სული: როდესაც წიგნს ვშლი, მე ვათავისუფლებ ამ სულს და ის იდუმალად მელაპარაკება.

ლართე და მერე ძლივს გადავეტრიალდი ზურგზე.

სასიამოვნო შეგრძნებით გამოვეფხიზლდი; მივხვდი, რომ უკვე უწონობის მდგომარეობაში ვიყავი. ჩემს ქვეშ იატაკი ვიგრძენი, მაგრამ წამსვე მოვწყდი მას და ჰაერში დავეკიდე.

გარშემო სრული სიბნელე იყო.

ასე ვეკიდე ამ სიბნელეში ერთი საათი; ისე მეჩვენებოდა, რომ არც კაბინა, და საერთოდ, არც ვარსკვლავები იყო სადმე და არც სამყარო. მარტო ვიყავი წყვდიადით სავსე, კასრივით ვიწრო და დახურულ ჯურღმულში.

ხელით მოვსინჯე ჩემი სხეული, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ ვარსებობ. ამ დროს მომესმა ასანთის კოლოფის ჩხაკუნი, რომელიც ჯიბეში ჩამრჩენოდა. გახარებულმა სწრაფად ამოვიღე და გავკარი. მწვანე შუქი აინთო და იმწამსვე ჩაქრა. მივხვდი, რომ შეცდომას ვუშვებდი. ანთებული ასანთი უნდა აქნიო, რათა გაიშვიათებულ ჰაერში ალს ჟანგბადი არ მოაკლდეს და არ ჩაქრეს.

მაგრამ ეს რა უბედურებაა! მარტო ერთი ღერიღა დამრჩენია. უჰ, რა სულელი ვარ. კოლოფი გახსნილი მქერია და უწონო ღერები ამოფრენილან; ახლა ისინი თევზებივით დაცურავდნენ ჩემს გარშემო.

პიჯაკი გავიხადე და უკან ვისროლე, უკუქმედების ძალით წინ გადავვარდი. რაღაც გამონაშვერს დავეჯახე. გავსინჯე, —სახელური იყო. გადავწიე და, ღმერთო! ილუმინატორი აინთო. მწვანე შუქით აივსო იქაურობა".

ბატონებო, აქ ავტორს, როგორც ჩანს, ჰალუცინაციები დაეწყო. ილუმინატორი არ იყო რაკეტაში. აბსოლუტურმა მარტოობამ, როგორც ჩანს, იმოქმედა მის ფსიქიკაზე...

**ხმა დარბაზიდან:** მაპატიეთ, სერ...

**ჯეიმს ჯონსი:** გისმენთ, ბრძანეთ.

მაგიდასთან სათვალიანი კაცი მივიდა.

**უცნობი:** მე პატრიკ ნელსონი მქვია. საქმე იმაშია, რომ მე... როგორც გითხარით... ფანტასტიკურ რომანს ვწერ. და აი... ეს ჩემი რვეულია...

**ჯეიმს ჯონსი:** თქვენი? მერედა... როგორ მოხვდა იგი რაკეტაში?

**პატრიკ ნელსონი:** იცით, ეს მე დავდე, როდესაც გაფრენის წინ რაკეტას ვათვალიერებდით. მე ყოველთვის რაღაცას ვკარგავ ხოლმე. მაპატიეთ...

ამის შემდეგ სტენოგრაფიულ ჩანაწერში ერთი ნიშანიღა იყო დასმული, — ნიშანი, რომელიც ხმაურსა და საერთო ჰომერულ სიცილს გამოხატავს.

**ჟურნალიდან — „ტეხნიკა მოლოდიოჟი"**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მ ე რ ვ ე ს ა ო ც ა რ ე ბ ა

მსოფლიოს შვიდივე საოცრება (ალექსანდრიის შუქურა, ეგვიპტის პირამიდები თუ როდოსის კოლოსი...) თავისი გრანდიოზულობით იქცევდა ყურადღებას...

ანტიური კულტურის ამ ძეგლებზე პირველად ალაპარაკდნენ ბიზანტიელი მემატიანეები. ისინი უთუოდ მერვე საოცრებად ჩათვლიდნენ ნასკას (პერუ) ველის მოხატულობას, მისი არსებობა რომ სცოდნოდათ; მაგრამ ამ ნახატების შესახებ მაშინდელი დროის მემატიანეებმა კი არა, ევროპელმა მეცნიერებმაც არაფერი იცოდნენ დღემდე. მსოფლიოს მერვე საოცრება მხოლოდ მეოცე საუკუნის 50-იან წლებში აღმოაჩინეს.

გაოცება და დაბნეულობა ერთდროულად დაეუფლათ ამ ნახატების პირველმხილველ მეცნიერებს,—მათ წინ იყო ცხოველთა, ადამიანთა, მცენარეთა კილომეტრებიანი გამოსახულებანი. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ამ ნახატებს, თავისი სიდიდის გამო, მიწაზე ვერ ამჩნევდნენ. მათ კვალს შემთხვევით წააწყდნენ; მთელი თავისი დიდებულებით კი ისინი მხოლოდ თვითმფრინავიდან—ორნახევარი კილომეტრის სიმაღლიდან დაინახეს.

უცნაური ადგილია ნასკას ველი,—250 კვადრატულ კილომეტრზე გადაჭიმული უწყლო ტაფობი, სადაც მშრალი ქარები დათარეშობენ, წვრილი, შავი ქვითაა მოფენილი. ერთხელ, არქეოლოგებმა ქვიშისაგან გაწმინდეს მცირე ადგილი და მიწაზე რაღაც სწორი კვლები შენიშნეს. ადგილობრივ მცხოვრებთ ადრეც შეუმჩნევიათ ასეთი კვლები, რომელთა სიგანე 15-20 მეტრს აღწევდა; ისინი ძველი სარწყავი სისტემის ნაშთი ეგონათ; მაგრამ მალე, მეცნიერები დარწმუნდნენ, რომ ასე უცნაურად მიმოკლაკნილი თხრილების სარწყავად გამოყენება ყოვლად შეუძლებელი იყო.

ვეებერთელა ხვეულები, სამკუთხედები, პარალელური ხაზები საოცარ გეომეტრიულ ფიგურებად იხლართება. 15 კილომეტრის სიგრძეზე გაშლილი სამკუთხედები და ხაზები ჰკვეთეს დამშრალი მდინარეების კალაპოტებს, შარაგზებს, გორაკებსა და ბორცვებს, კლდოვან აღმართებსა და დაღმართებს. რა არის ეს? ძველი ინკების რაიმე ხუმრობა? თუ მათი კალენდარი? თუ ასტრონომიული რუკა? თუ...

ხელიდან ხელში გადადიოდა თვითმფრინავიდან გადაღებული ფოტოსურათები. ეს ხვლიკია, ეს ობობა. ეს ცხრაფეხა, ეს თევზი. ეს კი რაღაა? თითქოს ფარშევანგი... გაფრენილი ჩიტი, არწივი, – საოცრად მსგავსი ძველ ღერბებზე ამოტვიფრილი გამოსახულებისა.

ცხოველთა და მცენარეთა ერთმანეთის მსგავსი, ფიგურები ათობით კილომეტრზე ჩამწკრივებულა.



ჭიანჭველაა??

აი, კიდევ ერთი საოცრება—ადამიანთა არაჩვეულებრივი გამოსახულებანი. ზოგი უთავოა, მაგრამ ორხელიანი,—ერთზე ექვსი თითი აქვს, მეორეზე—ოთხი. ერთგან ადამიანთა მთელი ჯგუფია გამოხატული: წვანან გულაღმა, გაჭიმულნი, თავზე გვირგვინი ადგიათ. თვითეული ფიგურა 600-მეტრიანია.

წარმოდგენაც კი შეუძლებელია, ისე მრავალფეროვანი თემები აურჩევიათ ძველ მხატვრებს; მაგრამ მხოლოდ მხატვრები იყვნენ ისინი? არა, ბრწყინვალე მათემატიკური ცოდნის გარეშე ასეთი ხაზების გავლება და ფიგურებს შორის მანძილის ც...ოდენ ზუსტად დაცვა ყოვლად შეუძლებელია.



??

ვერაფერმა—ვერც დრომ, ვერც წვიმამ და ვერც ქარმა ვერ დააზიანა ეს ნახატები. მომდევნო თაობებმა, რომლებმაც არაფერი იცოდნენ ამ შესანიშნავი ფიგურების შესახებ, მათზე ტელეგრაფის ხაზები, შარაგზები და გზაჯვარედინები გაიყვანეს, მაგრამ ძველი ოსტატების ნახელავი ამით დიდად არ დაზიანებულა.

ნახატების ავტორებს არავითარი წარწერა არ დაუტოვებიათ. ჩვენ არაფერი ვიცით მათი ვინაობის შესახებ.

ცოტა მოგვიანებით, არქეოლოგებმა იპოვნეს კერამიკული ჭურჭლის ნამტვრევები. მათზე დიდი სიზუსტით არის გამეორებული იგივე ხვეულები. ზოგი ჭურჭელი ნახატებზე ადრეინდელია, ზოგი კი – შემდეგდროინდელი. ჭურჭლის მიხედვით დაადგინეს, რომ ნახატებს საკულტო დანიშნულება ჰქონიათ.

სამხრეთ ამერიკის ძველი მკვიდრნი თავიანთ თავს მზის შვილებს უწოდებდნენ, თაყვანს სცემდნენ მზეს, მთვარეს და ათასგვარ ზეციურ ძალას. როგორც ჩანს, გიგანტური ნახატების ველზე ისინი რიტუალურ დღესასწაულებზე იყრიდნენ თავს. შესაძლოა, საზეიმო მარშით საომრად მიემართებოდნენ ამ ხაზებზე ჩამწკრივებული ჯარები; იქნებ აქ ანთებდნენ უზარმაზარ კოცონებს მზის სადიდებლად.

სრულიად შემთხვევით, ნასკას ველის შემსწავლელმა ენთუზიასტებმა, მზის ამოსვლისას, ერთ-ერთი მაღლობიდან, გაწმენდილი ნახატების ნაწილი დაინახეს. დილით, მნათობის სხივები სულ რამდენიმე წუთით თითქოს სტაცებენ დედამიწას ნახატებს, და მალე ყველაფერი უჩინარდება.

როგორც ჩანს, ოდესღაც უაღრესად ზუსტად იყო გაანგარიშებული სხივების დაცემის კუთხე და გიგანტური ნახატების ხაზთა სიღრმე. შესაძლოა, ძველი ქურუმები თავის დროზე მარჯვედ იყენებდნენ ამ ფანტასტურ მოვლენას.

ნასკას ველის ნახატები ძველი პერუს ერთადერთი გამოცანა როდია. სამხრეთ ამერიკის ამ ქვეყნის ისტორია დღემდე უამრავ საიდუმლოს იხახავს. არქეოლოგები აქ ხშირად პოულობდნენ მტაცებელ ცხოველთა სკულპტურულ გამოსახულებებს, რომელთაც ძვირფასი ქვების თვალები ჰქონდათ, ეს ქვები კი ამერიკაში არ მოიპოვება.

ერთ-ერთი ტაძრის კედლებზე აღბეჭდილია გამოსახულებანი, რომელთაც ხელთ უპყრიათ უცნაური იარაღები. ამ, მილების მსგავსი იარაღების საბრძოლო დანიშნულება დღემდე უცნობია. ამოუხსნელია ძველ ინდიელთა ფრესკების ფერთა საიდუმლოებაც. ისინი ახლაც გვხიბლავენ საოცრად ცოცხალი და მკაფიო ფერებით, თუმცა მათი ასაკი ათას წელს აღემატება.

„—რაც უფრო მეტს ვშრომობთ ამ კონტინენტის ისტორიის საიდუმლოებათა ამოსახსნელად, მით უფრო მატულობს საოცრებათა რიცხვი“,— ამბობენ ძველი ამერიკის კულტურის მკვლევარები.





განმარტებებს იძლევა
ფილოლოგიის
მეცნიერებათა კანდიდატი
ზურაბ ჭუმბურიძე

**ქვაცისხე** — სოფელია ჭიათურის ახლოს. აშკარაა, რომ მისი სახელი უკავშირდება ქვის ციხეს. ციხე შეიძლებოდა ხისაგანაც აეგოთ. ამგვარი ციხის მიხედვითაც დარქმევია სახელი ერთ სოფელს გურიაში. იქ არის სოფელი **ბუკისციხე**. ბუკი ხის ერთ-ერთი ჯიშია. შემდგომში ამ ხის ციხის ადგილას ქვის ციხე აუგიათ, მაგრამ სოფელს ძველი სახელი შერჩა.

**წირქვალი** —სოფელს ჰქვია ჭიათურის მახლობლად. აქაური ნიადაგი შეიცავს შავქვას ანუ მარგანეცს. ამიტომ წირქვალური პური ცუდი ფერისა და უაარისთ ყოფილა, მას სხვა სოფლების ხორბალში არ აურევდნენ, რომ ისიც არ გაეფუჭებინა. სწორედ ამან დააინტერესა აკაკი წერეთელი, რომელმაც აქაური ნიადაგის ნიმუში გამოსაკვლევად წაიღო. ლაბორატორიაში დაადგინეს, რომ ეს მიწა დიდი რაოდენობით შეიცავდა მარგანეცს. ასე გახდა ცნობილი ჭიათურის მარგანეცის საბადო.

სიტყვას ქვა ძველად ჰქონდა პარალელური ფორმა **ქვალ**. აქედანაა მიღებული სამეგრელოს ერთ-ერთი სოფლის სახელი ქვალთნი, რაც „ქვიანს“ ნიშნავს. იგივე სიტყვა გვაქვს წირქვალ-შიც. რაც შეეხება ამ სახელწოდების პირველ ნაწილს— წირ, ეს უნდა იყოს იგივე მწირი ანუ ნაკლებნაყოფიერი. ამრიგად, წირქვალი ნიშნავს მწირ-ქვიანს.

**ძირულა**—ყვირილას ერთვის შორაპანთან. მართალი უნდა იყოს ვახუშტი ბაგრატიონი, რომელიც აღნიშნავს, რომ ძირულამ ეს სახელი მიიღო „მთათა ძირთა შინა დინებითა“. ამრიგად, სახელწოდება წარმოქმნილა ძირ სიტყვაზე **ურ** სუფიქსის დართვით, ხოლო რადგან ქართული გაურბის ერთ სიტყვაში ორი რ-ს თავმოყრას, **ურ**-ისაგან მივიღეთ **ულ**, აქედან— **ძირულა**.

**ლაშურა**—პატარა მდინარეა, არაგვეთს ჩამოუდის. აქ სუფიქსი **ურ** უცვლელადაა დაცული. როგორც ჩანს, ეს სუფიქსი დართვია სიტყვას **ლაშე** ანუ **მლაშე**, რაც „მარილიანს“ ნიშნავს.

იგივე სიტყვა ჩვენ გვხვდება სხვა გეოგრაფიულ სახელებშიც: ზემო იმერეთშივე არის სოფელი **ლაშე**. ასე ეწოდება პატარა მდინარესაც, რომელიც სოფელ სიმონეთში მოედინება. არსებობს აგრეთვე სოფელი **ლაშისღელე**.

**რედაქცია**: მოგვწერეთ. რომელი გეოგრაფიული სახელის წარმოშობის ისტორია გაინტერესებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფარადეი



სამუშაოს საძებრად მიმავალ შვილს საგზალს უმზადებდა დედა.

— შვილო, აი შენი ნივთები, — თქვა ბოლოს დამწუხრებულმა დედამ და პატარა ბოხჩა მიაწოდა.

— ნუ ღელავ, კარგად ვიქნები, წიგნების ამკინძავად ვიმუშავებ, ეს კი საშუალებას მომცემს წავიკითხო ყველა ის წიგნი, რომელიც ჩემს ხელში გაივლის. წაკითხული,— ცოდნას შემძენს.

მაგრამ დედის სახეს მწუხარება არ მოსცილებია;—„ღარიბი და სწავლა, სად გაგონილაო"—ფიქრობდა იგი.

* * *

ადვილი როდი იყო წიგნების ყდაში ჩასმა და თან მათი კითხვა. დრო არ ჰქონდა ჭაბუკ ფარადეის,

— ერთი ამას დამიხედეთ! მეცნიერი სურს გამოვიდეს! გამითამამდა ყმაწვილი, — შეჩიოდა მეპატრონე წიგნის მყიდველებს,— ძალიან გამითამამდა. წარმოიდგინეთ, ერთხელ მისმა უფროსმა ძმამ, რიჩარდმა მოირბინა. მას მეეტლედ დაუწყია მუშაობა და პირველი აღებული შილინგები ძმას მოუტანა,— ლექციებს დაესწარიო.

— მერედა, მაიკლი წავიდა?—კითხა მეპატრონეს ერთ-ერთმა მყიდველმა.

— წავიდაო?! მას შემდეგ სულ სირბილით მიეშურება,— ნეტავ თუ ესმის რამე იმ ლექციების?

მაიკლი იქვე იდგა; საუბარს ყურს არ უგდებდა. იგი ინტერესით დასცქეროდა თხელი წიგნის ყდას, რომელზედაც ლამაზად ეწერა: „1812 წლის მარტში გემფი დევის მიერ ქიმიაში წაკითხული ლექციები. წიგნი აკინძა და ყდაში ჩასვა მაიკლ ფარადეიმ".

მაიკლმა წიგნი გვერდზე გადადო და ახლა თავისი თხოვნა გადაიკითხა: „ლონდონის სამეფო ინსტიტუტს! გთხოვთ მიმიღოთ შიკრიკად ან შავ მუშად. მე 21 წლისა ვარ, ვმუშაობ წიგნების ამკინძავად, მინდა მეცნიერებას შევწირო თავი. ამასთან ერთად გაახლებთ ჩემს პირველ შრომას— პროფესორ დევის ლექციების კონსპექტს. მაიკლ ფარადეი".—მერე, ბევრი აღარ უფიქრია, მეპატრონეს დაეთხოვა და სამეფო ინსიტუტისაკენ გაეშურა...

* * *

ლონდონის გარეუბნის ქუჩები ცარიელი იყო. თებერვის თოვლჭყაპი სახეში სცემდა ფარადეის. ჭაბუკი სიცივეს ვერ გრძნობდა: მის სახეზე ბედნიერება აღბეჭდილიყო. სიხარულით აძგერებული გული მკერდიდან ამოვარდნას ლამობდა...

ფარადეი შინ მიიჩქაროდა. აი, მან მამისეული ქოხის კარი შეაღო და, სეტყვასავით წამოვიდა შეკითხვები:

— როგორ არის საქმე? მიგიღეს?—გვიამბე ჩქარა!

— დედა! ძვირფასო დედა! მიმიღეს! გესმის? მი-მი-ღეს!—დამარცვლა მაიკლმა და საყვარელ არსებას გადაეხვია.

— აბა, მისმინე, — განაგრძნო ჭაბუკმა და თან ფურცელი გაშალა... „1813 წელი, 1 მარტი. მაიკლ ფარადეი დანიშნულია ლაბორანტად სამეფო ინსტიტუტის პროფესორ დევისთან".

* * *

გავიდა ათი წელი. ღარიბი მჭედლის ოჯახიდან გამოსული, ყოფილი ამკინძავი მაიკლ ფარადეი დიდი მეცნიერი და სამეფო ინსტიტუტის ქიმიის ლაბორატორიის დირექტორი გახდა. მაგრამ მეცნიერი მიღწეულით როდი დაკმაყოფილდა, იგი მუდამ ახლის ძიებაში იყო. ერთხელ ჯიბიდან პატარა მაგნიტი ამოიღო, დააცქერდა, — „თუ რბილი რკინისაგან დამზადებულ ღეროს დავახვევთ სადენს და მასში დენს დავატარებთ, დენის გავლის დროს ღერო დამაგნიტდება, ელექტროძალა მაგნიტურ ძალად გარდაიქმნება. მაგრამ როგორ გარდავქმნათ მაგნიტური ძალა ელექტროენერგიად?" — ფიქრობდა იგი.

მსხვილი მავთული მჭიდრო ზამბარისებურად დაახვია, მას წვრილი, იზოლირებული სადენი შემოავლო და მისი ბოლოები პოლუსებთან შეაერთა, მოულოდნელად მსხვილი მავთულის ბოლოებს შორის ნაპერწკლებმა გაიელვა.

— რა უნდა იყოს,—ფიქრობდა ის. —სადენი ხომ იზოლირებულია და მასში დენი არ გადის? მეცნიერმა ექსპერიმენტის განმეორება გადაწყვიტა. იზოლირებული სადენის წრედში ამომრთველი ჩართო, ხოლო მსხვილი მავთულის ბოლოები გალვანომეტრთან შეაერთა. როგორც კი იგი ამომრთველს აამოქმედებდა, გალვანომეტრის ისარი მკვეთრად იხრებოდა ხან ერთ, ხან მეორე მხარეს.

ფარადეი თანდათან ხვდებოდა ამ მოვლენის ფიზიკურ არსს. მსხვილი მავთული, რომელზედაც დახვეულია ბატარეასთან მიერთებული იზოლირებულ სადენში დენის გავლის დროს მაგნიტდება. როგორც კი დენი წყდება, მავთული ჩვეულებრივ მავთულად იქცევა. მაგრამ მსხვილ მავთულში დენი აღიძვრება არა მაშინ, როცა ის ელექტრომაგნიტს წარმოადგენს, არამედ იმ მომენტში, როცა იგი მაგნიტდება ან განმაგნიტდება.

ცოტა სხვანაირად რომ გაკეთდეს, რა იქნება?—გაიფიქრა მან და ჩვეულებრივი ძაფის კოჭზე დაახვია იზოლირებული სადენი, მისი ბოლოები გალვანომეტრთან შეაერთა და კოჭის შიგნით. სწრაფად აამოძრავა ჩვეულებრივი მაგნიტი,— ხან წინ, ხან უკან, ყოველივე ამან კი გალვანომეტრის ისრის, ხან ერთ მხარეს, ხან მეორე მხარეს გადახრა-გადმოხრა გამოიწვია.

მეცნიერისთვის ყველაფერი ნათელი გახდა: წრედში წარმოიქმნება დენი მაგნიტური ნაკადის ცვალებადობის დროს! ინდუქციური დენის მიღების პრინციპი აღმოჩენილია! ფარადეიმ შეძლო მაგნიტური ველის ელექტროენერგიად გარდაქმნა. შემდგომში ამ აღმოჩენის გამოყენებამ შესაძლებელი გახადა შექმნილიყო ელექტროენერგიის მძლავრი წყაროები,— ელექტროსადგურები.

პოლონურ ჟურნალიდან —
„გორიზონტი ტეხნიკი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აფრიკის საოცრებანი

ნახატები დიმიტრი ერისთავისა

ჰერმან ფრაიბერგი

## აფთრები ელოდნენ ჩემს სიკვდილს

Гხსენებ ამ ამბავს და — სიზმარი მგონია; სინამდვილეში კი... სამი დღე-ღამე ვეგდეთ საჰარაში ორი მომაკვდავი — მე და ჩემი ერთგული ცხენი. თვალში ვუყურებდი აფთრებს, მესმოდა მათი ამაზრზენი ყმუილი...

ყველაფერი ასე დაიწყო:

ევროპიდან დავალება მივიღე — გველების, სახელდობრ, პითონების ტყავი უნდა გამეგზავნა. სამზადისს შევუდექი. პითონებისათვის საჰარის სამხრეთ ნაწილში — ბორნუს* ქვეყანაში უნდა ჩავსულიყავი. თან ერთი ჰაუსელი ახალგაზრდა, — იბრაჰიმი გამყვებოდა. იგი მარწმუნებდა, ბორნუს ქვეყანას ხუთი თითივით ვიცნობო. გაგაცნობ გველებზე მონადირეს, რომელსაც ბაზარზე პითონის ტყავი ჩამოაქვსო, ეს ტყავი თავისი მოხატულობით და გამძლეობით უბადლოაო.

რამდენიმე ·დღე გავიდა მგზავრობაში. თანდათან ღრმად შევდიოდით ბორნუს ქვეყანაში. წყალი არსად არ ჩანდა. იბრაჰიმი გამოტყდა, რომ გზა ერეოდა; უკანასკნელად ორი წლის წინათ ვიყავი აქეთ, ალბათ, მხარი მექცაო. მირჩია დავბრუნებულიყავით.

უკან დაბრუნებაზე სიტყვის გაგონებაც არ მინდოდა.

მეორე დღეს უარესი უბედურება დაგვატყდა. რაღაც ეშმაკად ვირი წაიქცა და, რაც ზედ ეკიდა, ქვეშ მოიყოლა; რაც მთავარი იყო, წყლიანი კასრიც. ამაზე იტყვიან, გაჭირვებულს ქვა აღმართში მოეწიაო. კასრში, დიდი-დიდი, ერთი დღის საყოფი წყალი ჩარჩა. პირველ ხანებში წვეთობით ვსვამდით. გამოლევაზე რომ მიდგა—მარტო ტუჩებს ვისველებდით.

ვირი ახლა ჩვენთვის ზედმეტი ბარგი იყო და გავუშვით. საწყალმა კარგა ხანს გვდია. ბოლოს ველარ იარა და სული დალია. ეს კარგი ნიშანი არ იყო, — მოკვდა პირველი სულიერი ჩვენს შორის.

ძალა მეც მელეოდა თანდათან. ძილი ჩემთვის არ იყო და ჭამა. უწყლობამ ხომ მთლად გამტანჯა. იბრაჰიმი, ეს უდაბნოს შვილი, უფრო მხნედ გამოიყურებოდა. დაღლილობა სულაც არ ეტყობოდა, უხმოდ მოაბიჯებდა ჩემს გვერდით.

იმ დღეს ჩვეულებრივზე ადრე მოვეწყეთ დასაძინებლად. ძილით მაინც უნდა შეგვენახა ძალ-ღონე.

დილით გავიღვიძე და ჩემს გვერდით არავინ იწვა. იბრაჰიმი თავის ცხენიანად სადღაც გამქრალიყო. დაძახება ვცადე, მაგრამ ყელიდან გასავათებული ადამიანის ხრიალიღა აღმომხდა. ჩემს ცხენს გავხედე—თავჩამოგდებული იდგა შორი-ახლოს.

ისევ ძილს მივეცი თავი... უცებ. ბურანში რაღაც გრილი და რბილი სხეულის შეხება ვიგრძენი სახეზე. გაოგნებული წამოვხტი და თოფს ვეცი. ხელში ცხენი შემრჩა. იგი ჩემს თავზე გადაჭიმული ბრეზენტის სახურავს ლოკავდა,—ღამე ცვარი დაედო. ცვარში გაგრილებული ცხენის დრუნჩის შეხებას გავეღვიძებიე. ჭუჭყიან ბრეზენტზე ხელი მოვუსვი და სველი ხელისგული ტუჩებთან მივიტანე, დავისველე ენა, პირი...

დაღამდა...

შევატყვე, ცხენი მოუსვენრად სწევდა თავს, ხშირად კისერს იგრძელებდა. წამოვდექი და ირგვლივ მიმოვიხედე — იქნებ იბრაჰიმი ჩანდეს სადმე-მეთქი. მოშორებით რაღაც მოძრავი სხეულები დავლანდე. მალე საშინელი ჩხავილი, ყეფა და ღმუილი ატყდა. მივხვდი, აფთრები გროვდებოდნენ.

გავშმაგდი. ამ წუთში მხოლოდ ერთი რამ მიტრიალებდა თავში, უბრძოლველად არ დავნებებოდი მხეცებს. ჰაერში თოფი გავისროლე. აფთრები ყეფით დაიშალნენ, მაგრამ დროებით. მალე ისევ იწყეს თავმოყრა. მოდი-

*ბორნუ — ერთ-ერთი აფრიკული ტომია, რომელიც საჰარის სამხრეთ ნაწილში ბინადრობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდნენ სათითაოდ და ერთმანეთის გვერდით ძაღლებივით ყუნტდებოდნენ. ხროვა თანდათან იზრდებოდა. ცოტა ხანში ისევ საშინელი ყმუილი გააბეს.

თმები ყალყზე დამიდგა. ვიცოდი, რომ აფთარი ცოცხალ არსებას არ ერჩის, მაგრამ იმის შეგრძნებამ, რომ დაყუნტულები ჩემს სიკვდილს ელოდნენ, მთლად გამაგიჟა. მთელი ღამე ვყვიროდი, რომ მკვდარი არ ვგონებოდით.

გამთენიისას აფთრები გადაიკარგნენ. ახლა აუცილებელი იყო ძილი. ძილში სულ წყაროები და მდინარეები მესიზმრებოდა. ტანში გამჯდარმა აუტანელმა სიმხურვალემ გამომალვიძა. ხელები დამმძიმებოდა. ფეხებიც ლოდებივით მქონდა. ადგომა ვცადე, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ათ ნაბიჯზე მომაკვდავი ცხენი იწვა. მისი საცოდაობით ვიწვოდი. დავაპირე—თოფით ბოლო მომეღო მისი ტანჯვისათვის, მაგრამ გადავიფიქრე. არა! დღეს კიდევ მოვიცდი, თუ ხვალ დილამდე არავინ მომეშველა, მაშინ..

დიდი გაჭირვებით ოთხზე დავდექი და იქვე პატარა შემაღლებაზე ავფორთხდი, —იქნებ იბრაჰიმი მოდიოდეს, სიმაღლიდან უკეთ დავინახავ-მეთქი. უკან გამოსაბრუნებლად ძალა აღარ მეყო, იქვე დავრჩი.

ღამე რთვილმა გამომაღვიძა. თავზე ვარსკვლავებით სავსე ცა მადგა. ქვიშაში სანახევროდ ჩაფლული, დართვილული ქვები მოვლოკე. მერე ისევ დავიწყე ყვირილი. თანდათან დიდდებოდა ჩემი სულთამხუთავების ჩრდილები, რომლებიც ჩემსკენ მოცოცავდნენ. აფთრებს უკვე აღარ ეშინოდათ,—მე უმოძრაოდ ვიწექი. ჩემს ირგვლივ თანდათან ვიწროვდებოდა ჩრდილების წრე. ოდნავი განძრევა და, წრე ისევ ფართოვდებოდა. მერე ისევ თავიდან.

უცებ შევამჩნიე, რომ ერთ აფთარს მოსწყინდა ასეთი თამაში, ძაღლივით დაყუნტდა და გულდამშვიდებით მომაშტერდა. კარგად ვხედავდი მის სახეს, რომელზეც არავითარი სიბრალული არ იგრძნობოდა. ახლა რომ თოფი მქონოდა, ძალას მოვიკრებდი და უსათუოდ მოვკლავდი ამ ერთს მაინც. შევძრწუნდი... განძრევაც აღარ შემეძლო. აი, დაყუნტული წამოდგა და გაჩერდა ჩემს წინ. სამიოდე მეტრი გვაშორებს. დავინახე მისი საშინელი კბილებიც. გულმა უროსავით დამიწყო ცემა. აი, მეორე აფთარიც ამოუდგა პირველს, ასეთივე დიდი, ჩუმი და გატრუნული. ფრთხილად მოიწევენ. ერთი მათგანი საცაა უკვე სახეზეც დამყნოსავს... და მე უცებ დამიბრუნდა ძალა, ელვის სისწრაფით წამოვჯექი და ვიყვირე საშინლად, გამაყრუებლად. ორივე აფთარი უკან გახტა და მე ავხარხარდი. ავხარხარდი ისტერიულად, როგორც გიჟი. ხარხარი მიდამოს აყრუებდა. აფთრებზე ისევე თავზარდამცემად იმოქმედა ჩემმა ხარხარმა, როგორც მათმა ყეფამ და ყმუილმა—ჩემზე.



მერე გონება დავკარგე.

გონზე მაშინ მოვედი, როდესაც სახეზე სიგრილე ვიგრძენი. სიგრილე ვიგრძენი ტუჩებზე, ყელშიც... წყალი!.. ამ წუთში თვალის გახელაც არ მინდოდა, არ მინდოდა დავბრუნებოდი სინამდვილეს. ვსვამდი. შემდეგ ორივე ხელით ჩავეჭიდე რაღაც გრილსა და რბილს. თვალი გავახილე, ეს უკვე სინამდვილე იყო. წყვილ შავ ხელს ჩემს სახესთან ეჭირა წყლიანი მათარა. ეს ხელები ქვეყნად ყველა-

ზე მშვენიერი ხელები იყვნენ, მე ასე მომეჩვენა. მეტი არაფერი დამინახავს, ღრმა ძილით ჩამეძინა.

იბრაჰიმმა გამაღვიძა. მხიარულად იყო. ორი ახალგაზრდა წარმომიდგინა, ჩემი ნაცნობი მონადირის შვილებიაო, წყალიც ამათ მაპოვნინეს, თვითონ მონადირესაც მალე ვნახავთო.

ცხენი ბორნეულებს წაეღოთ საჭმელად.

მაგარი ყავა მომიხარშეს და ცოტა მოვჯობინდი. იბრაჰიმს ბავშვივით უხაროდა. მალე გველებზე მონადირესთან წამიყვანეს.

### ნადირობა გიგანტურ გველებზე

კეთილი ხალხის წყალობით მალე მოვიკეთე. რამდენიმე დღეში უკვე შემეძლო მონადირეებს გავყოლოდი გველებზე. შევუდექით სამზადისს.





ცოტა არ იყოს, გამიკვირდა, როცა გველებზე მონადირემ თავისი სამი ვაჟიშვილიც მოამზადა. ჩემი აზრით, ერთი გამოცდილი მონადირე თავისუფლად გაუსწორდებოდა 7-8-მეტრიან პითონს. ჩვენ კი აგერ, ხუთამდე მოვიყარეთ თავი.

რამდენიმე საათში პითონების სამეფოში ვიყავით. ამ მხარეში ათასობით ჩამოდიოდნენ თურმე ისინი ჩადის ტბის მიდამოებიდან. ჭამისაგან გატიკნილები, ბურთივით დახვეულები ეყარნენ ეს საშინელი არსებები ცხელ ქვიშაში.

მონადირე და მისი ვაჟები გაშიშვლდნენ და მთელ ტანზე ზეთი წაისვეს. მზეზე ბრწყინავდა გაზეთილი შავი კანი. წინ მოხუცი მიდიოდა. ჯანიანი ახალგაზრდები კი სამმეტრიან ხის მორზე დამაგრებული ორკაპა ჩანგლით მიჰყვებოდნენ. აი, მოხუცმა ხელსაყრელად მიიჩნია პოზიცია, ცოტა ხანს დაფიქრებით უცქირა გველს. მერე შვილებს ანიშნა. ორკაპიანი შეუპოვრად წაადგა პითონს, ორკაპი კისერზე გადააჭდო და მიწას დააკრა. გველი გაშმაგებით ატყლაშუნებდა კუდს. ბიჭს მაგრად ეჭირა მორზე დამაგრებული ორკაპი. პითონი მორს დაეხვია. ახლა ძმები მიეშველნენ, ერთმა მორზე მიაკოჭა გველი, მეორემ თვალისდახამხამებაში წააგდებინა თავი.

ნადირობა გაგრძელდა. მეორე პითონთან პირდაპირ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართა, — იგი სიპზე იწვა. სიპზე არ მოხერხდა ორკაპის დამაგრება. გველი ცდილობდა, ტანზე დახვეოდა მონადირეებს, მაგრამ გაზეთილ, შიშველ სხეულზე ადვილად ცურდებოდა მისი ჭრელი ტანი. ამაო ბრძოლით გამძვინვარებული პითონი თანდათან დაცხრა. ამასობაში ერთ-ერთმა ძმამ დრო იხელთა და მასაც წააგდებინა თავი.

მესამე გველთან სხვა ხერხი იხმარეს. მოხუცმა ხვრელში ნახა ვეებერთელა გველი. შეათვალიერა. ბრძოლა ხელსაყრელად ჩათვალა. ხვრელის პირზე ჩამოჯდა და ცალი ფეხი ხვრელში ჩაჰყო. გაშმაგებული პითონი ფეხზე დაეხვა მონადირეს. მერე ის იყო მუხლზე ამოაცოცა თავი, რომ მოხუცის დანის მსხვერპლი გახდა. მოხუცმა ფეხი გაითავისუფლა და ხვრელიდან ამოათრია პითონი.

საკმაო ნადავლით დავბრუნდით უკან. გველებს ტყავი გავაძრეთ, წამლებით დავამუშავე და მზეზე გავფინე. ხორცს მონადირეებმა მოულხინეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ულმობელი მთები

**არჩილ უშვერიძე**

ფოტო—ავტორისა



ვულკანი ბატური

როცა ინდოეზიაში წვიმების სეზონი დგება, ჯაკარტაში შავი, სქელი ღრუბლები ჩამოწვება ხოლმე და თვითმფრინავს უჭირს აეროდრომზე დაშვება. ამიტომ მფრინავები შორი გზით მოვლას ამჯობინებენ,—დაეშვებიან სამხრეთისაკენ, გადაუფრენენ კუნძულ სუმატრას, შემდეგ გეზს ისევ ჩრდილოეთისაკენ აიღებენ და ზონდის ყურესთან იწყებენ დაშვებას.

ასეთი მგზავრობის დროს, შეიძლება ბედმა გაგიღიმოთ და ზონდის ყურეში უხვად მიმობნეულ პატარ-პატარა კუნძულებს შორის შენიშნოთ ერთი, არაჩვეულებრივი და ყველასაგან განსხვავებული კუნძული, უფრო სწორად, – ვულკანი. მას კრაკატაუს ეძახიან. ზემოდან იგი მხატვრის პალიტრას ჰგავს. კუნძულის ერთი მხარე, სანახევროდ ზღვაში ჩაძირულ კრატერს უკავია, შიგ მოწითალო ლავა თუხთუხებს. ძნელია დაიჯერო, რომ ამ ციცქნა ვულკანს დიდი ბოროტების ჩადენა შეეძლოს, მაგრამ სუმატრისა და იავის ხანდაზმულ ადამიანებს კარგად ახსოვთ ის დღეები, როცა კრაკატაუ ამხედრდა და მსოფლიოს თავისი ძლიერება დაუმტკიცა. ეს მოხდა 1883 წლის 20 მაისს. ამ დღეს, კრაკატაუმ, ორსაუკუნიანი ძილის შემდეგ გაიღვიძა და 3 თვის განმავლობაში ნელ-ნელა ძალასა და ენერგიას იკრებდა მსოფლიოს ვულკანების ისტორიაში გაუგონარი, სარეკორდო ამოფრქვევისათვის. 26 აგვისტოს კრაკატაუს მძვინვარებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. შემზარავ გრუხუნს ძლიერი, არნახული ამოფრქვევა მოაყოლა, ქვის უზარმაზარი ლოდები, ლავა და ფერფლი 80 კილომეტრის სიმაღლეზე აისროლა. ცხელმა ლავამ დაფარა ახლომდებარე კუნძულები. კრაკატაუმ ზღვაც აამხედრა. 50-მეტრიანი ტალღები შეიჭრნენ კუნძულებზე და პირწმინდად მოასუფთავეს ქალაქები ანჟერი და ტელოკ-ბეტონგი. ტალღები ხმელეთზე მიათრევდნენ ხომალდებს, ხოლო უკუქცევისას ზღვაში ითრევდნენ ადამიანებს, საქონელს, გარეულ ცხოველებს... 28 აგვისტოს ყველაფერი მიწყნარდა. ორი დღე მძვინვარებდა კრაკატაუ და ამ ორ საბედისწერო დღეს 37 ათასი კაცის სიცოცხლე შეიწირა. კრაკატაუს ფერფლი დედამიწის ორივე ნახევარსფეროს მოედო და 1886 წლამდე ზეცას არ მოშორებია.

კრაკატაუმ ერთ ბოროტებას მეორეც მიაყოლა. თითქოს ინდონეზიას ვულკანები აკლდა,—კრაკატაუმ თავის მეზობლად ახალი კუნძული-ვულკანი წარმოშვა; მას «კრაკატაუს შვილობილს» ეძახიან. ახალდაბადებული ჯერჯერობით მშვიდად ბოლავს.

«კრაკატაუს შვილობილთან» დაკავშირებით, საინტერესოა ერთი მოვლენა. ინდონეზიას 3 ათასი კუნძულის ქვეყანას უწოდებენ, თუმცა ეს ციფრი არასოდეს არ ყოფილა ზუსტი, რადგან ზღვის ფსკერის განსაკუთრებული რელიეფი, ხშირი მიწისძვრები და დიდი რაოდენობით მოქმედი ვულკანები გარკვეულ სიძნელეებს ქმნიან იმის დასადგენად, თუ რომელი ჩათვალონ კუნძულად და რომელი—ზღვისა და ვულკანების ეფემერულ წარმონაქმნებად. ყოველწლიურად რამდენიმე კუნძული ზღვაში იმალება, ხოლო მათ მაგიერ, «კრაკატაუს შვილობილის» მსგავსად, სხვა კუნძულები ამოჰყოფენ ხოლმე თავს; ყოველივე ამის გამო კი, ინდონეზიის რუკაზე ყოველწლიურად ახალ-ახალი შესწორებები შეაქვთ.

ინდონეზიაში 500-ზე მეტი ვულკანია, მათგან 177 მოქმედია და ამდენად, ვულკანის ამოფრქვევა აქ არავის უკვირს. უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში მოხდა 50 დიდი ამოფრქვევა, ე. ი. საშუალოდ, წელიწადში თითო, და, რასაკვირველია, ბუნების ეს საზარელი მოვლენა. უმსხვერპლოდ არასოდეს არ დამთავრებულა. 145 ათასი ადამიანის სიცოცხლე, 610 დანგრეული სოფელი და ქალაქი, მილიონობით დასახიჩრებული და უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანი, განადგურებული ნათესები და ძვირფასი ჯიშის მცენარეები,—ასეთია უკანასკნელი ერთი საუკუნის მანძილზე ინდონეზიის ვულკანების ამოფრქვევით გამოწვეული ზარალი.

130 ათასი კვადრატული კილომეტრის კუნძულ იავაზე, 121 ვულკანია! ძნელია აქ მოიძებნოს ისეთი ადგილი, საიდანაც არ ჩანდეს მხრჩოლავი ვულკანი ან ვულკანური წარმოშობის კონუსისებური მთა. ვულკანური მთები,

თავისი დაღარული კალთებით, იავასათვის იმდენად დამახასიათებელია, რომ იგი ინდონეზიის თითქმის ყველა სახის ემბლემაზეა გამოსახული.

იავაზე პირველობას არავის უთმობს მსოფლიოში ყველაზე საშინელი ცეცხლისმფრქვეველი მთა-ვულკანი მერაპი. (მერაპი ქართულად «ცეცხლის ადგილს» ნიშნავს). ამ ვულკანის პირველი ამოფრქვევა 1006 წლითაა დათარიღებული. მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისში მან რამდენიმე ათასი კაცი იმსხვერპლა და სქელი ფერფლით დაფარა კუნძულის თითქმის მთელი ცენტრალური რაიონები. უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში მერაპი 50-ჯერ ამოიფრქვა. ეს ვულკანი არ ეკუთვნის იმ ვულკანთა რიცხვს, რომელნიც ერთს გაიბრძოლებენ და შემდეგში



აგუნგის ვულკანის ჯგუფი

ყუჩდებიან ხოლმე. მერაპის ამოფრქვევა ზოგჯერ მთელი წლის მანძილზე გრძელდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მერაპი მსოფლიოში ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ რაიონში მდებარეობს. მაგელანგის, ჯოკიაკარტისა და სურაკატის დაბლობებზე, რომლებიც მერაპის გარშემო მდებარეობენ, მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე ყოველ კვადრატულ კილომეტრზე 1.300 კაცს უდრის. ძნელიამ აღირიცხოს ის მატერიალური ზარალი და დაღუპულ ადამიანთა რიცხვი, რომელიც ცოდვად აწევს მერაპს, ჭოფლიოს ამ ყველაზე საზარელ ურჩხულს.

ბანდუნგიდან 40 კილომეტრის დაშორებით, ზღვის დონიდან 2 ათას მეტრზე მდებარეობს ვულკანი ტანგუბან პრახუ, რაც ქართულად «გადაბრუნებულ ნავს» ნიშნავს. ვულკანის ეს სახელწოდება დაკავშირებულია ლეგენდასთან, რომლის მიხედვით, თითქოს, ახალგაზრდა ვაჟს შეუყვარდა ქალი და არ იცის, რომ იგი მისი ახლობელია. იმ მიზნით, რომ ისინი ეხსნათ სირცხვილისაგან, ფერიებმა გადააბრუნეს ნავი, რომელშიც ვაჟი მჯდარა. ეს ამბავი მხოლოდ მთას დაუნახავს და ხალხმა ამიტომ შეარქვა მას ეს სახელი. იმ დროს იგი ჩვეულებრივი მთა ყოფილა, მშვიდი და უწყინარი, მაგრამ შემდეგ, საიდუმლოს შენახვისათვის იგი ღმერთებს რატომღაც დაუსჯიათ. ამის გამო მთას უჯავრია, გაგულისებულა, ვულკანად ქცეულა და „ნათლია“ ხალხისთვის ამაგი იმით გადაუხდია, რომ 1830 წლის ერთ მშვენიერ დღეს ამოფრქვეულა და რამდენიმე კილომეტრზე მთლიანად აღმოუფხვრია სიცოცხლე. ვულკანის გარშემო, სქელ ფენად, ახლაც დევს რუხი ფერის გამხმარი ლავა. ზემოდან იგი ცივია, მაგრამ შიგნით პირვანდელ ტემპერატურას ინარჩუნებს. ასეთ ადგილებში მცენარეების არსებობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. მაგრამ ათეული წლების შემდეგ, როცა ლავა მთლიანად გაცივდება, ტანგუბან პრახუს მიდამოები მწვანე წალკოტად გადაიქცევა, თუ მანამდე, რასაკვირველია, ვულკანმა ძველებური არ გაიხსენა. ახლა პრახუ შედარებით მშვიდადაა, მის ქვაბისებურ კრატერში ცხელი ლავა თუხთუხებს, ნაცრისფერ კვამლს უშვებს და გარეგნულად ბოროტი განზრახვის არაფერი ეტყობა, თუმცა...

ასევე მშვიდად იყო ამ რამდენიმე თვის წინ ვულკანი აგუნგი კუნძულ ბალიზე. აგუნგის ნახვა თვითმფრინავიდანაც შეიძლება, თუ ჩრდილო-დასავლეთიდან მიადგებით კუნძულს; მაგრამ უფრო ახლოს გასაცნობად უმჯობესია, ცოტა გაისარჯოთ და ახვიდეთ ზღვის დონიდან 3 ათას მეტრზე. თქვენს თვალწინ გადაიშლება ვერცხლისფრად მოკიაფე უზარმაზარი ტბა, ღრუბლებში თავშერგული მთები და რამდენიმე პირდაღებული კრატერი. ყოველივე ეს — ერთი ვულკანი,— აგუნგია. მის მთავარ კრატერში ტბა გაჩენილა. ტბაში ბევრია თევზი, ხოლო ნაპირებზე,— მეთევზეთა ქოხები. ხალხი დიდი ხნის წინათ დასახლებულა ამ მთების კალთებზე; მეურნეობა გაუჩაღებიათ, თევზსაც იჭერენ, თუმცა, როგორც იქაურები ამბობენ, ამ ტბის თევზი საშინლად უგემურია, გოგირდის გემო აქვს.

აგუნგის მოსალოდნელ ამოფრქვევას არავინ უარყოფდა, მაგრამ ვერავინ თმობდა გაციებული ლავით განოყიერებულ მიწებს, - აქ წელიწადში ოთხი მოსავალი მოდიოდა. გარდა ამისა, მოსახლეობა გულს იმშვიდებდა იმით, რომ ყოველწლიურად უამრავ შესაწირავებს უგზავნიდა ღმერთ შივას ბოროტ მეუღლეს — დურგას.

ბალი, ინდონეზიის არქიპელაგის ეს ულამაზესი კუთხე, იავასაგან პატარა სრუტითაა გამოყოფილი და სწორედ ამ ბუნებრივმა ზღუდემ დიდი როლი ითამაშა კუნძულის ცხოვრებაში. ბალზე ვერ შეაღწია ისლამმა, რომელმაც მთელი ინდონეზია დაიპყრო, და ამიტომ კუნძულის მოსახლეობა ინდუისტური და ბუდისტური რელიგიების ერთგული დარჩა. როგორც ლეგენდა გადმოგვცემს, ბალი ადრე უსიცოცხლო, უნაყოფო კუნძული იყო, ხოლო როდესაც მეზობელ კუნძულ იავაზე ისლამი შეიჭრა, ინდურმა ღმერთებმა ვერ გაუძლეს მოძალადეს და ბალზე გადმოსახლდნენ. ბუნებრივია, ისინი იზრუნებდნენ თავიანთი ღირსების შესაფერი სამყოფელის მოსაწყობად და აკი შექმნეს კიდეც უზარმაზარი მთები, დასახლდნენ ზედ და გაბატონდნენ. ყველაზე მაღალ მთაზე — აგუნგზე — ღმერთ შივას მეუღლემ, დურგამ მოი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათა. აგუნგზე მაღალი მთა ბალელებს ვერც წარმოუდგენიათ და ამიტომაც შეარქვეს მას «კაცობრიობის მამა» და მის კალთებზე დიდებული ტაძრები ააშენეს ღმერთების პატივსაცემად. ბალელების რწმენით, ვულკანებს ღმერთები განაგებენ და, სხვადასხვა შესაწირავით ღმერთის გულს თუ მოიგებ, იგი აღარ გაბრაზდება და ვულკანის სახით ღვარძლს აღარ გადმოანთხევს მიწაზე. ღმერთების განრისხებით ხსნიან ბალელები იმას, რომ გასულ საუკუნეში აგუნგი სამჯერ ამოიფრქვა.

... 28 თებერვალი. დენპასარი—ბალის დედაქალაქი. რომელიღაც რელიგიურ დღესასწაულთან დაკავშირებით, ქალაქის ცენტრში, საღამოს გაიმართა ზეიმი და, როგორც ყოველ დღესასწაულზე, ბალელებმა შეასრულეს რამდენიმე უძველესი ცეკვა; ერთ-ერთი მათგანი „კაცობრიობის მამას", აგუნგს მიეძღვნა. გოგონები ასრულებდნენ ფერიების ცეკვას. ბალელების რწმენით, ფერიებს უხვი მოსავალი და ფერადი ყვავილები მოაქვთ ხალხისათვის, მშვიდობასა და სიკეთეს აფრქვევენ ირგვლივ. გამელანის (ეროვნული საკრავების ორკესტრია) მელოდიები თანდათან მინელდა, ფერიებმაც შეანელეს ცეკვა და, თითქოს მოსალოდნელი უბედურება იგრძნესო, ერთმანეთს მიეკრნენ. უცებ დაბნელდა, ატყდა ჭექა-ქუხილი და, როდესაც კვლავ განათდა, სცენას ჩამოუარა ბოროტმა დურგამ, რომელიც განრისხებული აგუნგის სახით მოევლინა ხალხს. დურგას ცეკვა აბობოქრებულ ვულკანს ჰგავდა, რომელიც მსხვერპლს მოითხოვდა. ამგვარი ცეკვები დენპასარში ყოველ მეათე დღეს იმართებოდა და, ბუნებრივია, 10 მარტსაც გაიმართებოდა, რომ ბალიზე საშინელი ტრაგედია არ დატრიალებულიყო. მოცეკვავე დურგას ნაცვლად, კუნძულს რისხვად ნამდვილი ვულკანი დაატყდა. ამოქმედდა აგუნგი, ათასობით სახლი დაანგრია, გაანადგურა ნათესები, ირგვლივ, 30 კილომეტრზე, მთლიანად მოსპო სიცოცხლე. ფერფლის სქელმა ფენამ დაფარა არამარტო ბალის კუნძული, არამედ იავასა და სხვა კუნძულებსაც მისწვდა 600 კილომეტრის მანძილზე და, რაც მთავარია, ვულკანმა იმსხვერპლა 2 ათასი ადამიანი, ბევრი დაასახიჩრა, უსახლკაროდ დატოვა 200 ათასი ოჯახი. ერთ კვირაზე მეტ ხანს ბობოქრობდა აგუნგი. შემდეგ თითქოს დაცხრა, დამშვიდდა, მაგრამ მაისის შუა რიცხვებში—კვლავ მსხვერპლი, კვლავ დიდი მატერიალური ზარალი...

— ეს იყო დიდი ეროვნული უბედურება, რომელიც ინდონეზიას არ უნახავს კრაკატაუს ამოფრქვევის შემდეგ.—ასე შეაფასა აგუნგის ამოფრქვევით გამოწვეული საშინელება პრეზიდენტმა სუკარნომ.

ახლახან, ბალის მოსახლეობას ახალი სტიქიური უბედურება დაატყდა თავს. აგუნგის შემხედვარე, ხასიათზე მოვიდა მისი მეზობელი ვულკანი ბატური.

ბატური ერთ-ერთი მრისხანე მთაა ბალის ვულკანების დიდ ოჯახში. ჩვენი საუკუნის პირველი მეოთხედი ბატურის ცხოვრებაში ყველაზე მღელვარე პერიოდი იყო, რომელიც 1926 წლის ცნობილი ძლიერი ამოფრქვევით დაგვირგვინდა. ამოფრქვევას თან ახლდა ძლიერი მიწისძვრები. ცხელმა ლავამ მოსპო ყველაზე დიდი სოფელი, რომელსაც აგრეთვე ბატური ერქვა, მაგრამ,—რაც მთავარია, ხალხი გადარჩა. გავიდა წლები და ბალელებმა, მართალია, სხვა ადგილას, მაგრამ მაინც ააშენეს ახალი სოფელი და კვლავ ბატური დაარქვეს. ყოველი წლის აგვისტოს ბოლოს ბატურის გარშემო მდებარე სოფლებში დიდი დღესასწაულები ეწყობა, იმართება ცეკვები; ღვთის მსახურები ტაძრებში ლოცულობენ, ხოლო ქალები ხონჩით ეზიდებიან შესაწირავებს ღმერთებისათვის—ბრინჯს, ხილს, ნანადირევს, შემწვარ გოჭებს. მაგრამ, როგორც ჩანს, წლევანდელ შესაწირავებს, ღმერთები არ დაჯერდნენ და ბატურიც ამიტომ განრისხდა...

5 სექტემბერს ამოქმედდა ბატური. ახლომდებარე სოფლებსა და მიდამოებს გადმოაღვარა ლავის ნაკადი, ქვის, გავარვარებული ფერფლისა და სილის სეტყვა. ხანძარმა გაანადგურა ბრინჯის მოსავალი და ქოქოსის პალმის პლანტაციები. ამჯერად 50 კაცი დაიღუპა და ორი ამდენი მძიმედ დაშავდა.

ამოფრქვეული ვულკანის ახლომახლო ჯერჯერობით სიცოცხლის ნიშანწყალი არ იგრძნობა... ცხელი ლავა, ნაცრისფერი ოხშივარი, შიში და მყუდროება სუფევს ირგვლივ. მაგრამ გავა ხანი და, აგუნგისა და ბატურის ფერდობებს კვლავ შეესევა ხალხი, ჩადგამენ ქოხებს, გააშენებენ სოფლებს და სიცოცხლე დაიწყება თავიდან.



ვულკანის ამოფრქვევა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ყანა რომ ღელავს და ტალღა ტალღას მისდევს, იკეცება და ფერსა და ფერს იცვლის,—მზეკაბანი ჰქვია.

ჭეშმარიტი ლექსი, (მითუმეტეს ქართული ხალხური ლექსი) მზეკაბანსა ჰგავს,—სტრიქონები ერთმანეთს ისე სცვლიან, ერთიმეორეში ისე გადადიან, როგორც ტალღა—ტალღაში და ფერი—ფერში.

ამიტომ დავარქვით ჩვენი ჟურნალის ამ ახალ განყოფილებას (ხალხური პოეზიის განყოფილებას) მზეკაბანი.

აქ დაიბეჭდება ქართული ხალხური პოეზიის დღემდე გამოუქვეყნებელი საუკეთესო ნიმუშები.

## ყორანო გადამავალო

*ყორანო გადამავალო,*
*გადამიარე თავსაო,*
*ჩემსას ცუდს ნურას გაიგებ,*
*ჩემს მტრისას კიდევ—კარგსაო;*
*კაცის გულ-ღვიძლის მონატრევ,*
*აბნელებ მზიან დარსაო—*
*ცას ჩრდილად ნუ ეფინები,*
*გადაჰყევ ცხრა მთის ქარსაო,*
*გული ჰკარ სამართებელსა,*
*მუცელი დანის ფხასაო.*

## კ ე ლ ა

*ვაჟკაცი ვარ თავმომწონე,*
*მივალ ყანის მოსამკელად,*
*რაღაც ბუში ერთი ბეწო*
*გადამიდგა მე წინ კელა;*

*სად მიდიხარ?—მეკითხება,—*
*ჩემ საზღვარს ნუ გადმოთელავ!*
*აბა, კელას რად ჩავაგდებ,—*
*ვაჟკაცი ვარ ამოტელა.*

*კელა კიდევ გზას არ მითმობს,*
*აბზუილდა საშინელად.*
*მოვუღერე ნამგლის ყუა,*
*გამიბრაზდა უფრო კელა,*

*დაუძახა ამხანაგებს,*
*მამესივნენ ერთად ყველა.*
*ისრებს მირტყმენ, შავ დღეში ვარ,*
*გამაცივა, გამაცხელა,*

*ვღრიალებ და არვინ მშველის,*
*კელას ყველა მაეშველა.*
*შინ მოვედი დაისრული,*
*ტკივილმაც არ მამასვენა;*

*სიმსივნისგან დახუჭული*
*არ შემეძლო თვალთ გახელა...*
*სამ დღეს ვიწევ ლოგინშია*
*სრულად გონზე მოუსვლელად.*

ჩაწერა ალაზა ხაიაურმა

**რედაქცია:** ჩაიწერეთ და გამოგზავნეთ ხალხური ლექსები. თუ გამოქვეყნებული გამოდგა,—გამოვაქვეყნებთ.

რომის გარეუბანში, ოპიტო ოპიოს ქუჩაზე ცხოვრობს ლორეტების ოჯახი. ამ მისამართზე ფოსტალიონს ყოველდღე მოაქვს ასობით წერილი. რობერტინო — აწერია წერილებს, რომელთა ავტორები არიან „პატარა ჯილის“ (ასე ეძახიან რობერტინოს) ნიჭის თაყვანისმცემლები. გამოჩენილ იტალიელ მომღერალთან — ჯილისთან შედარება არ აკმარეს რობერტინოს და „ოქროსყელიან იტალიელ ბულბულს“ ეძახიან...

არა! ეს სრულიადაც არ არის გადაჭარბება! არაჩვეულებრივად ხალასი და რბილი, ამავე დროს—ძლიერი, გამომხატველი ხმა,—ეს ხომ ბედნიერი გამონაკლისია.

რობერტინო უბრალო მუშის მეხუთე შვილია; ამჟამად კი ამ ოჯახში რვა ბავშვია. მას შემდეგ, რაც რობერტინოს მამა დაავადმყოფდა, ლორეტების ოჯახს ძალიან გაუჭირდა ცხოვრება...

აი, რას ჰყვება რობერტინოს დედა—სინიორა ჩესირა:

„ჩემი ბიჭი ოთხი წლისაც კი არ იყო, როცა მღეროდა რადიოში თუ ქუჩაში გაგონილ ყველა სიმღერას; მღეროდა მთელი გრძნობით, შეუცდომლად. მაგრამ ჩვენ ამისათვის ყურადღება არ მიგვიქცევია, რადგან იტალიაში ყველა მღერის...“

პირველი ჯილდო—„ვერცხლის ნიშანი“—რობერტინომ ერთი იტალიური გაზეთის მიერ მოწყობილ კონკურსზე მიიღო. ამის შემდეგ, არაპროფესიონალი ვოკალისტების კონკურსზე, რომელიც რადიომ მოაწყო, ოქროს მედალი დაიმსახურა. მალე ერთმანეთს მოჰყვა სხვადასხვა პრიზები, თასები, სამახსოვრო საჩუქრები...

რობერტინოს მშობლებს იმის საშუალებაც კი არ ჰქონდათ, რომ შვილი გამოცდილი პედაგოგებისათვის მიებარებინათ. პატარა მომღერალი იძულებული იყო კაფეებსა და რესტორნებში ემღერა და ოჯახს დახმარებოდა.

1960 წელს რომში ოლიმპიური თამაშები ტარდებოდა. მთელი ქალაქი სავსე იყო სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული სპორტსმენებით, ტურისტებით, ჟურნალისტებით. ამ დროს რობერტინო „გრანდ იტალიაში“ მღეროდა. იგი ოლიმპიელთა ყურადღების ცენტრში მოექცა. მალე რობერტინოს ქება-დიდება მთელ მსოფლიოს მოედო. მისი ხმა ფირზე ჩაწერა დანიის ტელესტუდიამ, რის შემდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაც რობერტინო დანიაში ჩავიდა. გრამფირფიტაზე ჩაწერილმა „იტალიელი ბულბულის“ ხმამ მთელი მსოფლიო მოხიბლა. ნორჩმა მომღერალმა უამრავი საგასტროლო მიწვევა მიიღო.

რეპეტიციები, კონცერტები, გადაღებები კინოში, ტელევიზიაში!.. ჩქარა, ჩქარა!—უნდა მოასწრონ ყველაფერი, თორემ... წელიწადნახევარში დადგება ხმის გარდატეხის დრო და, რა მოხდება—ვინ იცის!..

რობერტინოს ხმაში უკვე გარდატეხა დაეტყო. „მისგან ტენორი რომ დადგეს, ამისათვის საჭიროა დროე-



რობერტინოს, გაუფრთხილებლობის გამო, ნემსი გაუკეთეს გამოუხარშავი შაშარით, რის გამოც შეუსივდა მარჯვენა ფეხი. ოპერაციის შემდეგ რობერტინო გამოჯანსაღდა და კოპენჰაგენში ჩავიდა. აქ იგი შეუდგა მუსიკის თეორიის შესწავლას, სწავლობს სხვადასხვა ენებს. ნორჩი მომღერლის ჯანმრთელობის მდგომარეობას თვალყურს ადევნებენ ცნობილი იტალიელი და დანიელი ექიმები. ისინი რობერტინოს ურჩევენ—ცოტა ხანს დაისვენოს და მერე იმღეროს.

ცნობილია, რომ გარდატეხის პერიოდში მბგერავი იოგები დიდ ცვლილებებს განიცდიან,—იოგები თუ გადაიქანცა—ყველაფერი დაიღუპება.

რობერტინომ ყურადიღო სპეციალისტების რჩევა და სიმღერა შეწყვიტა.

1962 წლის დეკემბერში იგი ასრულებს საახალწლო სიმღერას დანიის ტელევიზიისათვის.

—ადრეა, ჯერ არ უნდა იმღეროს,—ასკვნიან ექიმები.

და აი, უკანასკნელი ცნობაც: კოპენჰაგენის მუსიკალური კომპანია „ტრიოლა“ უშვებს გრამფირფიტას, რომელზეც ჩაწერილია რობერტინოს ორი ახალი სიმღერა... „იტალიის ბულბულს“ ხმაში უკვე დაეტყო მამაკაცური რიხი...

ამ ცოტა ხნის წინათ, საკავშირო რადიომ მიიღო რობერტინოს წერილი:

„სიხარულით ვწერ ამ წერილს... მადლობას ვუძღვნი მთელ საბჭოთა ხალხს, რომელიც ესოდენი ყურადღებითა და სიმპათიით ეპყრობა ჩემს სიმღერებს. მე უაღრესად გახარებუ-

# რობერტინო ისევ მღერის

ბით შეწყვიტოს სიმღერა“,—გაფრთხილებას იძლეოდა ვოკალური ხელოვნების ერთი დანიელი სპეციალისტი. ამაზე რობერტინოს იმპრესარიომ—სიგვალ ლარსენმა უპასუხა: „მე ტენორი არ მჭირდება, მე მინდა ესტრადის მომღერალი“.

და რობერტინო განაგრძობს სიმღერას. ავსტრიაში კინოგადაღების დროს იგი გაცივდა და ავად გახდა. მალე ხმის გარდატეხის დროც დადგა...

ლი და აღფრთოვანებული ვარ, და არ ვიცი, როგორ გამოვხატო მადლობა; მარტო საბჭოთა კავშირიდან ყოველდღე ვღებულობ ორიათასზე მეტ წერილს. მინდა ვუპასუხო ყველა მათგანს, მაგრამ, სამწუხაროდ, დრო აღარ მრჩება: ვემზადები საგასტროლოდ. იმედი მაქვს, მალე ჩამოვალ საბჭოთა კავშირშიც.

გმადლობთ:

რობერტინო“.



## სტუმრად... საკუთარ სახლში

ცნობილი მეცნიერი, „რუსული ავიაციის მამა“ ნიკოლოზ ჟუკოვსკი თავის სასტუმრო ოთახში დიდხანს ესაუბრებოდა ახალგაზრდებს. უცებ ჟუკოვსკი წამოდგა, შლიაპა დაიხურა, საათს დახედა და თქვა:

— ოო, რამდენი ვილაპარაკეთ. დროა, შინ წავიდე.

## უნებლიე აღმოჩენა

ერთხელ, ცნობილი მეცნიერი ფარადეი ათბობდა ქლორის ჰიდრატს, რომელიც შუშის მილში ესხა. მეცნიერმა შეამჩნია, რომ შენაერთიდან გამოიყო ქლორის ყვითელი, ზეთოვანი წვეთები და შუშის ნარჩილში გამოჟონა. ამ დროს ლაბორატორიაში შევიდა ფარადეის მეგობარი—დოქტორი პარისი. ეს ზეთოვანი წვეთები რომ დაინახა,—პარისი გაბრაზდა, რადგან ეგონა, რომ ფარადეი ჭუჭყიანი ხელსაწყოებით ატარებდა ცდებს.

პარისმა მეორე დღეს მიიღო წერილი, რომელშიც მხოლოდ რამდენიმე სიტყვა ეწერა:

„—მოწყალეო ხელმწიფევ! ზეთოვანი წვეთები, რომელიც თქვენ გუშინ დაინახეთ, თხევადი ქლორი გამოდგა. პატივისცემით მ. ფარადეი“.

ეს იყო უდიდესი აღმოჩენა: იმ დღეს, როცა ეს ლაკონური წერილი დაიწერა, პირველად განხორციელდა აიროვანი ნივთიერების თხევად ნივთიერებად გადაქცევა.

# გამოხმაურება ვახტანგ ბალავაძის ნაამბობზე

ჩვენი ჟურნალის მე-7 ნომერში, როგორც გახსოვთ, დაბეჭდილი იყო სპორტის დამსახურებული ოსტატის ვახტანგ ბალავაძის ნაამბობი: წოწოლა ბიჭი უმოწყალოდ სცემდა თავისზე უმცროსს; ამ უთანასწორო ჩხუბს გულდამშვიდებით უყურებდა იქვე მდგარი ქერა ბიჭი.

რედაქცია, „პიონერის" მკითხველებს მიმართავდა,—მოეწერათ თავიანთი აზრი: გმობდნენ თუ არა ქერა ბიჭის საქციელს, თვითონ როგორ მოიქცეოდნენ მის ადგილას.

ბალავაძის ნაამბობმა პიონერ-მოსწავლეთა დიდი გამოხმაურება ჰპოვა. ამას მოწმობს ის მრავალი წერილი, რომლებიც მიიღო რედაქციამ. ვაქვეყნებთ ზოგიერთ მათგანს.

ძვირფასო რედაქცია! ძალიან დამაინტერესა წერილმა „თქვენ როგორ მოიქცეოდით". რა უბრალო ამბავს ჰყვება ბალავაძე და რამდენი რამის მთქმელია იგი! მინდა, ამ წერილის გამო ჩემი აზრი გითხრათ.

გკითხულობდი ამ წერილს და ერთი ძველი ისტორიული ამბავი მაგონდებოდა. როცა მონღოლები თავს დაესხნენ რიაზანის სამთავროს, რიაზანელებმა დახმარებისათვის ვლადიმირის მთავარს მიმართეს, მაგრამ ვლადიმირელებმა არ თანაუგრძნეს.

რიაზანი დაიპყრეს მონღოლებმა, ხოლო შემდეგ ვლადიმირის სამთავროც მიაყოლეს. ხომ სჯობდა — ორივე სამთავრო გაერთიანებულიყო და დაემარცხებინათ საერთო მტერი.

წოწოლა ბიჭის საქციელი გაუმართლებლად მიმაჩნია. მე ასე მოვიქცეოდი: მივიდოდი ძლიერთან, ვკითხავდი,—გავიგებდი ჩხუბის მიზეზს, შემდეგ. თუ ვერ შევძლებდი მათ გაზავებას, მივეხმარებოდი პატარას. ორივე ხომ შევძლებდით ყოყლოჩინას დასჯას!

მე ვიცნობ „წოწოლას" მსგავს ბევრ ბავშვს. უნდა გამოვტყდე, არ მიყვარს ისინი.

**ჯამბულ ჩიხლაძე,**
ხულოს რაიონის მაწყვალთის 8-წლიანი სკოლის VIII კლასის მოსწავლე.

• • •

ამ წერილმა ძლიერ აგვაღელვა. შეგვეცოდა პატარა ბიჭი, რომელსაც უმოწყალოდ სცემეს. ის, ვინც გულგრილად უყურებდა სეირს, ნამდვილად გაკიცხვის ღირსია. შეიძლება, ის „ღონიერი" ბიჭი მასაც მორეოდა მაგრამ ორივეს კი ვერაფერს დააკლებდა და, თუგინდ ეცემა კიდეც, საკუთარ სინდისთან ხომ პირნათელი იქნებოდა!

ჩემი რაზმის ყველა წევრი მეთანხმება და გმობს მკვეხარა ბიჭის საქციელს. ის ნამდვილი პიონერი არ ყოფილა, თორემ ასე არ მოიქცეოდა.

**თენგიზ ბიწაძე,**
სამხერის რაიონის ცხრუკვეთის 8-წლიანი სკოლის მე-2 რაზმის წევრი.

• • •

ძვირფასო რედაქცია! ძალიან მომეწონა წერილი—„თქვენ როგორ მოიქცეოდით?"

ასეთ შემთხვევაში მე, რა თქმა უნდა, ჩავერეოდი მათ ჩხუბში, მაგრამ არა ჩხუბითვე, არამედ ვეცდებოდი დამეშვიდებინა ორივე. ჩემი აზრით, ის ბიჭი, რომელიც სეირს უყურებდა, ნამდვილად დასაგმობია.

**ზურაბ მამნიაშვილი,**
ნორიოს საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე.

---

# კითხვა? პასუხი

## როდის და როგორ აშენდა ვარძია?

ვარძიის გამოქვაბული აშენდა XII საუკუნის მეორე ნახევარში, გიორგი III მეფობის დროს (1156-1184). სამხრეთ-დასავლეთით საქართველოს ესაზღვრებოდა საშიში მტერი — თურქეთი. მისგან ყოველთვის მოსალოდნელი იყო თავდასხმა. სწორედ ამ საშიშროების გამო გადაწყვიტა გიორგი III ციხე-სიმაგრის აშენება.

ვარძია მდებარეობს ასპინძის რაიონში (ძველი სამცხე). ვარძიის გამოქვაბულის კომპლექსში 550-ზე მეტი გამოქვაბულია. თამარ მეფის ისტორიკოსი ვარძიას ახასიათებს, როგორც „მტრისთვის მიუდგომელ, უძლეველ ადგილს". აშენებიდან სამნახევარი საუკუნის შემდეგ ვარძიის ციხე-სიმაგრე ნახევრად დაინგრა მიწისძვრისაგან. მამის სიკვდილის შემდეგ, თამარ მეფე, ფეოდალური რეაქციის გამწვავების გამო, იძულებული იყო შეეჩერებინა ციხე-სიმაგრის აღდგენა და მონასტრად გამოეყენებინა იგი.

1283 წ. ვარძია დიდი მიწისძვრისაგან კვლავ განადგურდა. XVI საუკუნის შუა წლებში სამცხის ათაბაგის ქაიხოსრო II წინააღმდეგ აჯანყდნენ ადგილობრივი ფეოდალები, რომლებიც ქართლის სამთავროსთან სამცხის შეერთებისათვის იბრძოდნენ 1552 წ. ქაიხოსრო II, ირანის შაჰის დახმარებით, ჩაახშო აჯანყება და დაარბია ვარძია. ამის შემდეგ ვარძიაში მონასტრული ცხოვრება შეწყდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ვარძია მუზეუმად იქცა.

## როგორ წარმოიშვა გამოთქმა „ოლიმპიური თამაში"?

ეს საერთაშორისო ბერძნული თამაში იმართებოდა ყოველ ოთხ წელიწადში ერთჯერ, ქალაქ ოლიმპოში, ზევსის პატივსაცემად. თამაშს ორგანიზებული სახე მიეცა V საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

თავდაპირველად შეჯიბრი იმართებოდა მხოლოდ სირბილში, სტადიონის სიგრძეზე. XIV თამაშიდან იწყება ორმაგი სირბილი, XV-დან — ხანგრძლივი სირბილი, XVIII-დან პროგრამაში შევიდა ხტომა, ჭიდაობა, ბადროსა და შუბის ტყორცნა. XXIII თამაშში შემოიღეს კრივი.

ოლიმპიურ თამაშში გამარჯვებულს ოლიმპიელს უწოდებდნენ. შეჯიბრის ბოლოს მას ასაჩუქრებდნენ ზეთის ხილის ხეზე ოქროს დანით მოჭრილი ტოტებისაგან დაწნული გვირგვინით. გამარჯვებული ამ გვირგვინის გარდა პალმის რტოსაც ღებულობდა. თამაში სამჯერ გამარჯვებულს ოლიმპოში ძეგლს უგებდნენ; ქალაქში აწყობდნენ ზეიმს და ლხინს, რომელზეც მღეროდნენ გამარჯვებულისადმი მიძღვნილ ჰიმნებს.

ოლიმპიური თამაშების ადგილი ხელშეუხებლად ითვლებოდა ომების დროსაც კი. 1896 წ. ოლიმპიური თამაში გადაიქცა საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრად.

დღეს, ისევე როგორც ძველად, ოლიმპიური თამაში ტარდება ყოველ ოთხ წელიწადში ერთჯერ; მისი ჩატარების ადგილი იცვლება. ბოლო თამაში გაიმართა რომში, 1960 წელს.

## როდის დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნი?

ქართული ხასტამბო ასოები პირველად 1629 წელს რომში დაბეჭდილ „ქართულ-იტალიურ ლექსიკონში" იხმარეს.

თითქმის მთელი საუკუნის შემდეგ, 1708-9 წლებში თბილისში დაარსდა ქართული სტამბა და პირველი წიგნის გამოსვლა საქართველოში ამ თარიღთანაა დაკავშირებული. ცოტა უფრო გვიან,—1712 წელს, ვახტანგ VI თაოსნობით, საქართველოში პირველად დაიბეჭდა უკვდავი „ვეფხის ტყაოსანი".

## როდის გამოვიდა პირველი ქართული ჟურნალი?

პირველი ქართული ჟურნალი— „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი"—1832 წლის იანვარში გამოიცა. იგი წარმოადგენდა იმხანად არსებული გაზეთის— „ტფილისის უწყებანის" ლიტერატურულ დამატებას. ჟურნალის მხოლოდ ხუთი ნომერი გამოიცა და მერე არსებობა შეწყვიტა.

**რედაქცია:** შეგვეკითხეთ, რა გაინტერესებთ.

---

**ხიჩატელი** —გარეული ხილის (პანტა, მაჟალო, ცოლო, ზღმარტლი) ზოგადი სახელი.



**კალნაბი**

—ყვავილიანი კომბოსტო. Цветная капуста.

**ნურა**

—ბალნის გასაცვენი წამალი. იხმარება აბანოში; ერთგვარი ფხვნილი წყალში ასვრიან — გახდება ტალახივით, ისვამენ მშრალ ტანზე. შემდეგ იბანენ და ბალანს აცლის. ახლა ამ წამალს ქართულადაც და რუსულადაც ტარო ჰქვია. ჩვენი წინაპრები კი მას ნურას ეძახდნენ. „ერთმან იხუმრა: ვიბანებ ტფილის აბანოს ნურითა". (დ. გურამიშვილი).






—ნურა

**რედაქცია:** გაგიგონიათ თუ არა ეს სიტყვები?

თუ გაგიგონიათ, სად გაგიგონიათ?

თუ არ გაგიგონიათ, იქნებ მათი სინონიმები იცით?

ველით პასუხს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ელექტრონული
მოწყალების და

როცა ვინმე ავად ხდება, დიდი მნიშვნელობა აქვს ზუსტი დიაგნოზის დასმას. მაგრამ ეს როდი კმარა; ექიმი სისტემატურად უნდა აკვირდებოდეს, თუ როგორ ვითარდება ავადმყოფობა. ჩვეულებრივ, მოწყალების და ავადმყოფს დღე-ღამეში ორჯერ უზომავს ტემპერატურას, უსინჯავს მაჯას. თავის დაკვირვებებს იგი სპეციალურ ბარათში წერს. ექიმი ამ ბარათით განსაზღვრავს ხოლმე ავადმყოფის მდგომარეობას.

ახლახან, მოწყალების დის მოვალეობა ელექტროდებს დააკისრეს. მანქანა, რომელიც აქამდე მხოლოდ დიაგნოზს სვამდა, ახალი მოწყობილობებით აღჭურვეს. ამ მოწყობილობებში მოთავსებულია ხუთკაპიკიანის ოდენა ფირები, რომლებიც ავადმყოფობაზე „დაკვირვებებს აწარმოებენ" ისე, რომ ავადმყოფს არაფრით არ აწუხებენ. ელექტროდები გაივლის ფირებში და თავის დაკვირვებებს აწვდის საანგარიშო-ამომხსნელ აპარატს. ამ უკანასკნელს კი მიღებული ცნობები კეთილსინდისიერად გადააქვს ბარათში და ექიმს უკვე ხელთ აქვს ავადმყოფის მდგომარეობის საოცრად ზუსტი სურათი.



ბუ ბატებს დარაჯობს

გაზაფხულზე ვრანგელის კუნძულს ათარებელი გარეული ბატი აწყდება. ისინი მიწაზე გუნდ-გუნდად სხდებიან და ისე არხეინად გრძნობენ თავს, თითქოს მთელი კუნძულის ბატონ-პატრონები იყვნენ.

მაგრამ, ბატებს ამ კუნძულზე ერთი დაუნდობელი მტერი ჰყავთ, — ჩრდილოეთის თეთრი მელა. სამაგიეროდ, ბატებმა აქ საიმედო გუშაგი იშოვნეს. გუშაგად მათ პოლარული ბუ ჰყავთ „დაქირავებული". ბატის გუნდი ყოველთვის ბუს ბუდესთან სხდება. ბუ მუდამ „საბრძოლო მზადყოფნაშია"... როგორც კი თვალს მოჰკრავს მელას, გააფთრებით ეძგერება და კუდით ქვას ასროლინებს ხოლმე.

რატომ ყლაპავენ
ნიანგები ქვებს?

შემჩნეულია, რომ ნიანგები დრო და დრო მდინარიდან გამოდიან და რიყეზე ქვებს ყლაპავენ. მეცნიერებისათვის ნიანგის ეს ჩვევა აქამდე გამოცანას წარმოადგენდა.

ამ ცოტა ხნის წინ ერთმა ინგლისელმა ზოოლოგმა შესძლო ამ გამოცანის ახსნა. თურმე, ნიანგი იმავე მიზნით ყლაპავს ქვას, რა მიზნითაც არის ბალასტი ხომალდის ტრიუმებში. მუცლის ძირზე მდებარე ქვა ნიანგს წყალში წონასწორობის შენარჩუნებაში ეხმარება. ჩვილი ნიანგები, რომლებსაც ჯერ კიდევ არ ჩაუყლაპავთ ქვა, ძალ-ღონის უდიდესი დაძაბვით ცდილობენ, გულაღმა არ გადაბრუნდნენ და დინებამ არ გაიტაცოს.

ქიანქველებს
ბრინჯი მოჰყავთ

ჩრდილოეთ ამერიკის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ცხოვრობენ ერთგვარი სახის ქიანქველები. ისინი თავიანთი ბუდის გარშემო, ქიანქველის ბრინჯის გარდა, ყოველგვარ მცენარეულობას ძირშივე სჭრიან. თუ ქიანქველის ბრინჯი ახლო-მახლო არ მოიპოვება, მისი თესლი სხვა ადგილებიდან მოაქვთ და ბუდის ირგვლივ სთესენ. ნათესს ბეჯითად უვლიან, ყოველდღე რწყავენ.



ქიანქველის ბრინჯის ნათესი ჩვეულებრივი ბრინჯის მსგავსი, ქვასავით მაგარი მარცვლების შესანიშნავ მოსავალს იძლევა. ქიანქველები დამწიფებულ „ყანას" „მკიან", ძნები ბეღელში მიაქვთ და იქ მარცვლებს ნამჯისაგან აცალკევებენ. ნამჯას „ყანიდან" მოშორებით ჰყრიან. თუ მარცვალი შემთხვევით დასველდა, იგი შეიძლება გაღვივდეს და გაფუჭდეს. ამიტომ, ქიანქველებს დანოტიოებული ბრინჯი ორმოდან ამოაქვთ, მზეზე აშრობენ, ახარისხებენ, უვარგის მარცვლებს აშორებენ.



ჰიბრიდული
თვითმფრინავი

ამერიკელმა კონსტრუქტორმა ჯირარდმა შექმნა მფრინავი მანქანა — ჰელიპლანი, რომელიც კაცს, ერთსა და იმავე დროს, ჩქარ თვითმფრინავსა და ვერტმფრენს მოაგონებს. ჰელიპლანში შეერთებულია ამ ორივე ტიპის მანქანის ღირსებები: ადგილიდან აფრენა და დიდი სიჩქარე.

აფრენისას ჰელიპლანის სამკუთხა ფრთა ბრუნავს და, ვერტმფრენის ხრახნივით, ამწევ ძალას წარმოშობს. საჭირო სიმაღლეზე ასვლის შემდეგ, ფრთა მაგრდება და, რეაქტიული ძრავის საშუალებით, მანქანა წინ მიფრინავს. ჰელიპლანს შეუძლია საათში 800 კმ სიჩქარე განავითაროს, დასაჯდომად კი 400 კვ მეტრი ფართობი ჰყოფნის.

კონსტრუქტორების აზრით, ჰელიპლანს დიდი მომავალი აქვს.

ახალი
ტელეეკრანი

ჩვეულებრივ, ტელევიზორის ეკრანი ლუმინოფორის ნახევრად გამჭვირვალე ფენითაა დაფარული. ეს ფენა კი გამოსახულების მკაფიობას ერთგვარად „ჭამს". აქამდე ასე ეგონათ, რომ ამ გარემოებას არაფერი არ ეშველებოდა, მაგრამ...

უემბლში (ინგლისი) ამას წინათ გააკეთეს ეკრანი, რომელიც გამჭვირვალე ფოსფორის არაჩვეულებრივად თხელი ფენითაა დაფარული. გამოსახულებები ამ ეკრანზე რამდენიმეჯერ უფრო მკაფიოა, ვიდრე ჩვეულებრივ ეკრანზე. შეგიძლია, ტელეგადაცემებს მზის კაშკაშა შუქზეც უცქირო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჟურნალ „პიონერის“ 1963 წლის ნომრების საძიებელი

## პროზა

ჯ. ჯონუა — სამელნე (მოთხრობა), № 1.
რ. ქორქია — ორდენი (მოთხრობა), № 1; ორმოცი კომკავშირელი (მოთხრობა), № 10.
ბ. ციფეროვი — პატარა მოთხრობები, № 1.
გ. ლაბაძე — თამაში (მოთხრობა), № 1.
ა. გეილმაირი — კურდღელი ყვავის ბუდეში (ზღაპარი), № 1.
ტ. კვანჭილაშვილი — შვილობილი (ნამდვილი ამბავი), № 2.
ბ. პოლევოი — მათე კუზმინის უკანასკნელი დღე (მოთხრობა), № 2.
ვაჟა-ფშაველა — გველი (მოთხრობა), № 2.
ა. შიშმანაშვილი — ავტობუსთან (მოთხრობა), № 2.
ს. იორამაშვილი — ორი ძმა (ზღაპარი), № 2; ვაჟრის ნამუსი (მოთხრობა), № 11.
თხა და ჯიქი — (მენდეს ხალხური ზღაპარი), № 3.
მ. გორკი — ვადიდოთ ქალი, ვადიდოთ დედა (მოთხრობა), № 3.
ბ. სეირანიანი — ზარმაცი ვაროსი (ზღაპარი), № 3.
ბ. ხარანაული — ჩემი მომღერალი პაპა (მოთხრობა), № 3.
ლ. ფრუიძე — ტყისმცველი, ბოლოთოყო და დაკარგული ბილიკი (მოთხრობა), № 3.
ალ. ხუციშვილი — ბაბუს მამალი (მოთხრობა), № 3.
შ. ცხადაძე — მელია ცლანგა (ზღაპარი), № 3.
ს. ქავთარაძე — უცნობი დელეგატი (მოგონება), № 4.
ჯ. ჯერმანეტო — პატარა იტალიელის ნამდვილი სახელი (მოგონება), № 4.
გ. სანადირაძე — ძველი მისამართი (მოთხრობა); № 4; ბიჭი და ჩიტი (მოთხრობა), № 9.
ორი ძუნწი — (ქართული ხალხური ზღაპარი), № 4.
ა. დნეპროვი—ტრაგედია პარადიზის ქუჩაზე (ფანტასტიკა), № 4, 5.
ე. და გ. პაპაშვილები — დღესაც მელოდება (მოთხრობა), № 5.
მეფე და მეთევზე — (ქართული ხალხური ზღაპარი), № 5.
გ. გოგიჩაიშვილი — ჭინჭარა (მოთხრობა), № 7, 8.
ი. სმირნოვი — თმაში სანაძლეოზე (მოგონება), № 7.
ფ. ნიშნიანიძე — მამუდი (მოთხრობა), № 7.
მ. და დ. ნემჩენკოები — დედამიწის ძახილი (ფანტასტიკა), № 7.
ალ. გორგაძე — მაშინ ახალგაზრდა იყო (მოგონება), № 8.
რ. ბრედბერი — ქანგი (ფანტასტიკა), № 8.
ბ. ბუზკოვი, მ. მუსლინი — შავები და მწვანეები (ფანტასტიკა), № 9.
ო. გენრი — ორი საჩუქარი (მოთხრობა), № 9.
მ. კობიძე — ხუთი პური (მოთხრობა), № 9.
მ. ფრაიბერგი — აფრიკის საოცრებანი (სათავგადასავლო მოთხრობა), № 9, 10, 11, 12.
„ბრძენი“ კუ — (ქართული ხალხური ზღაპარი), № 9.
კ. კობერიძე — როცა ეზოში ფეხბურთს თამაშობენ (მოთხრობა), № 10.
ბ. ხოსიტაშვილი — ჩემი ძმა (მოგონება), № 10.
თ. გოდერძიშვილი — გიგას თავგადასავალი (მოთხრობა), № 11.
ირ. ევდოშვილი — ჩემი ვაზი (მოთხრობა), № 11.
მ. ხერგიანი — თეთრი მწყერვალი (მოთხრობა), № 12.
ი. ბოჩკოვი — დაუჯერებლობის კანონი (ფანტასტიკა), № 12.

## პოეზია

თ. ჯანგულაშვილი — დედა, № 3.
კ. გოგიაშვილი — ბიჭებო, თოვლი მოსულა № 1; გამარჯობა, ჩემო სკოლავ! № 9.
თ. შათირიშვილი — ფიფქები, № 1.
ა. აბულაშვილი — მშვიდობის არმია, № 2.
ა. დოხნაძე — სიმღერა საქართველოზე, № 2.
ს. შამფრიანი — უკვე ეხედავ, № 2; სულ სხვა ქრისმელი, № 3.
გ. ბიბინაძე — გამოიხედეს ტყემლებმა. № 2.
შ. მღვიმელი — ჯეჯილი, № 2.
მ. ლებანიძე — და ჰა, მეც იქით ვიჩქარი, № 3.
ლ. ასათიანი — საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი, № 3.
ო. შალამბერიძე — რა ტანადი, რა თვალადი, № 3.
ქ. ისაკაძე — მზემ მოუღო ბოლო ზამთარს, № 3.
ე. ბართაია — აკაციების რძისფერი ტოტით, № 3.
მ. შილდელი — ავად აღზრდილი, № 3.
გ. ძნელაძე — სამშობლო, № 4.
გ. შატბერაშვილი — მზე, მთვარე და ქარი, № 5.
ნ. კილასონია — დედამიწის ქალი, № 7.
ფ. იანაკოპულუ — ახალგაზრდობა, № 7.
ო. კუპრავა — ნორჩ მოგზაურთა სიმღერა, № 8.
ტ. მებურიშვილი — ზაზა ზღვაზე, № 8.
ქ. მიქაძე — გაზაფხულის წვიმა, № 8.
გ. ხოვლელი — ჩემი სოფელი, № 9.
მ. აბრამიშვილი — პიონერის ფიცი, № 10.
ირ. არაბული — მომენატრა, № 10.
ნ. ნარსია — რევოლუციის ჯარისკაცები, № 11.
ი. ხოშტარია — დედის ხმა, № 11.
ყორანო გადამავალო; კელა — (ქართული ხალხური ლექსები), № 12.

## პიონერული ცხოვრება

გ. ბახტაძე — გაიდარელები (ნარკვევი), № 1; სამი ვიმპელის თავგადასავალი (ნარკვევი), № 2.
კ. კობერიძე — ბიჭები ბიწკინაშვილები (ნარკვევი), № 1; პარაშუტი გაიშალა (ნარკვევი), № 5.
რ. ირემაშვილი — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, № 1.
ზ. ლიშკაშელი — ისტორია, რომელიც ყოველდღე მეორდება (ფელეტონი), № 1; მწიგნობარი (წერილი), № 2; ისტატიც ასეთი უნდა (ფელეტონი), № 3; გივის სიზმარი (ფელეტონი), № 9.
ნ. ფაილოძე — გორმაღალას ძირას (ნარკვევი), № 2.
ჯ. კვარაცხელია — ჩვენი გამარჯვებული რაზმები (წერილი), № 3.
რ. ჩაჩანიძე — იბრიალებს სამოცი კოცონი (ნარკვევი), № 3.
ე. სახვაძე — თეთრი მწვერვალი (ნარკვევი), № 4.
ფ. ციციაშვილი — მოუსვენარი ბიჭები (ნარკვევი), № 7.
გ. აბდალაძე — თემური ეძებს სივრცეში გაფანტულ ხმებს (ნარკვევი), № 8.
რ. მკერვალიძე — როცა ერთად ვართ (ნარკვევი), № 8.
გ. პაპიაშვილი —გულადი პიონერები (ნარკვევი), № 8.
გ. მესხიშვილი — ოცნება ირმისას გორასთან (ნარკვევი), № 9.
თ. შათირიშვილი — ნუკრიანელი პიონერები (ნარკვევი), № 9.
ი. ქემერტელიძე —კიდევაც დაიზრდებიან (ნარკვევი), № 10.
წაიკითხეთ რაზმის შეკრებაზე — წერილი, № 10.
ფ. ბერიძე — „შპარგალკა“ (წერილი), № 11.
გ. ძნელაძე — მეგობრები (ნარკვევი), № 11.
ო. გობრონიძე — თერთმეტს აკლია თხუთმეტი წუთი (ნარკვევი), № 12.
გამოხმაურება ვ. ბალავაძის ნაამბობზე (მოსწავლეთა წერილები), № 12.

## ლიტერატურა, ხელოვნება, ისტორია, ტექნიკა, მეცნიერება

ა. კაცაძე — „ნაკადული“ გვთავაზობს (წერილი), № 1.
გ. ჯოჯუა — ფოტომოყვარულთა დასახმარებლად (წერილი)), № 1.

ვ. სიდამონიძე — საიდან წარმოსდგა ეს სახელწოდებები, №1; პაატა თემურიშვილი (წერილი), № 3; ავსაჯან ლუდუშაური (წერილი), № 7; ლაზარე ოქრუაშვილი (წერილი), № 9.
მ. კვარაცხელია — ჯეჯილი (წერილი), № 2.
გ. კაჭახიძე — ილია სიხარულიძე (წერილი), № 3.
ა. ჩხარტიშვილი — ნიკორწმინდა (წერილი), № 3.
ჩვენი მხატვრები — (წერილი), № 3.
გრ. კვირკველია — ხმა კოსმოსიდან (წერილი), № 4.
გ. გეგეჭკორი — რუსა არგიშთის ძე ამბობს (წერილი), № 4.
ა. ლვინიაშვილი — „ნაკადულის“ 25 წლისთავი (წერილი), № 4.
ვ. დავითაია — თბილისის სიახლენი (წერილი), № 4.
აკ. ბაქრაძე — კინემატოგრაფიის დაბადება (წერილი), № 4.
ფ. ბერიძე — ლექსი და პოეტი (წერილი). № 5.
ს. სხირტლაძე — შევესიოთ ხალხური ზეპირსიტყვიერების სამკალს (წერილი), № 5.
ა. შანიძე — ქართული წერა (წერილი), № 5.
ს. ჩიქოვანი — დაუვიწყარი შეხვედრები (მოგონება), № 7.
ვ. გვახარია — მრავალჟამიერი მუსიკა (წერილი), № 7, 11.
ჯ. ამილახვარი — ნორჩ მოგზაურთა სიმღერა (ნოტი), № 8.
ასე დავწერე ტარიელ გოლუა — (მწერალ ლეო ქიაჩელის ნაამბობი), № 8.
მ. მრევლიშვილი — ბავშვების მეგობარი (წერილი), № 8.
ა. კარბელაშვილი — როცა ცაზე თანამგზავრები „დაეკიდება“ (წერილი), № 8.
ნ. რუბაკინი — როგორ ვიმუშაოთ წიგნზე (წერილი), № 8.
ი. ისტიშინა, ბ. ლაგუტინი — ყინულის მთები ოკეანეში (წერილი), № 8.
გ. ბასილია — როგორ მოტეხეს კბილი ქანგს (წერილი), № 9.
როგორ გაჩნდა „SOS“—(წერილი), № 9.
ენგურჰესი — (წერილი), № 9.
რ. მეტრეველი — ბრძოლისა და შრომის 45 წელი (წერილი), № 10.
საიათნოვა — (წერილი), № 10.
ნ. ნათაძე — მთარგმნელი მანქანა (წერილი), № 10.
გრ. ზარდალიშვილი — ზღვის სიღრმეთა საიდუმლო (წერილი), № 10.
რევოლუციის ჯარისკაცები (მ. ასათიანი, ვ. ბახტაძე, ა. ელბაქიძე, ნ. კალანდარიშვილი, კამო, ა. რიჟანაშვილი), № 11.
რ. სვანიძე — ჯუზეპე ვერდი (წერილი), № 11.
ზ. ლეშკაშელი — ერთი ლეგენდის დასასრული (წერილი), № 11.
ცაში, მიწაში, წყალში — (წერილი), № 11.
მერვე საოცრება — (წერილი), № 12.
ფარადეი — (წერილი), № 12.
ა. უშვერიძე — ულმობელი მთები (წერილი), № 12.
რობერტინო ისევ მღერის — (წერილი), № 12.

## სპორტი

მ. ვადბოლსკი — ჭადრაკი და მსოფლიოს გამოჩენილი ადამიანები (წერილი), № 1.
გ. ჩოხელი — „ყოვლისმცოდნე“ გულშემატკივრები (ნაამბობი), № 1.
თ. გიორგაძე — მანქანა თამაშობს ჭადრაკს (წერილი), № 1; მეცხრე ჩემპიონი (წერილი), № 7.
გ. გოლეთიანი — პაერის „ბალიში“ (წერილი), № 2.
გ. სანადირაძე — ზღვის კაცი (ნარკვევი), № 7.
ნ. მგელაძე — ჩემპიონია გურამ ლორთქიფანიძე (ნარკვევი), № 11.
ვ. ელაშვილი — ჯირითობა (წერილი), № 11.
ორი თასის მფლობელი გუნდი — (წერილი), № 12.

## განყოფილებები

ბუნების კარი — № 1, 2, 3, 9, 11.
ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრები — № 1, 2.
პიონერის კლუბი — № 1.
რატომ ვამბობთ ასე — № 1, 2.
საინტერესო თემაზე — № 1.
სახალისო — № 1, 2, 3.
თავისუფალ დროს — № 1, 2, 3.
ტექნიკის სიახლენი — № 2.
პიონერის თანამგზავრი — № 3.
იცი თუ არა, რომ... — № 3.
ცხრაკლიტული — № 4, 5, 7, 8.
საერთაშორისო ორგანიზაციები — № 4, 5, 7.
კირკიტი კაკლები — № 4, 5, 7, 8, 9, 10, 11.
იუმორი — № 1, 2, 3, 4, 5, 7, 8, 9, 10.
ოქროს საწმისი — № 4, 5, 7, 8, 11, 12.
ჯადოსნური სარკე — № 4, 5, 7, 8, 9, 10, 11, 12.
თავშესაქცევი — № 4, 5, 7, 8.
ადგილთა ვინაობა — № 5, 9, 10, 11, 12.
გამოგადგები — № 5, 7, 8, 9, 10, 12.
თურმე — № 7, 8, 9, 10, 12.
რად რა ჰქვია რას და რას — № 7, 8, 9, 10, 11, 12.
თქვენ როგორ მოიქცეოდით — № 7, 9.
პატარ-პატარა ოინები — № 8.
კითხვა-პასუხი — № 9, 12.
ქარაგმები — № 10, 11.
მზეკაბანი — № 12.
ოდოელერი — № 12.

**შენიშვნა:** „პიონერი“ № 6 მთლიანად დაეთმო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ბავშვთა შემოქმედებას.

გარეკანის მხატვრობა — გაიოზ ფოცხიშვილისა.

რედაქტორი მუხრან მაჭავარიანი
სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, როსტომ ელანიძე, იაგო ვარდოსანიძე, რევაზ ინანიშვილი, ჯუანშერ კვარაცხელია, სერგო კლდიაშვილი, ზურაბ ლეშკაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, გაიოზ ფოცხიშვილი (სამხატვრო რედ.), გიორგი შატბერაშვილი

ჩვენი მისამართი: თბილისი, პლეხანოვის 91 ტელ. 5-07-43

„ПИОНЕРИ“, На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 91.
გამომცემლობა «ნაკადული». უე 12238 ტირ. 32.000. პირ. ფორ. რაოდ. $4^1/_2$, ფიზ. ფორ. რაოდ. 2. ხელმოწერ. დასაბ. 3/XII-63 წ.
სტამბის შეკვ. 2333. გამომც. შეკვ. 712. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 20 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვთქვათ — ტურისტულ ლაშქრობაში ხარ. ცხელა... სიარული ჭირს — თითქოს ფეხებზე წისქვილის ქვები გკიდია. თუ გზა და გზა ჭები, წყაროები ან ანკარა ნაკადულები გვხვდება — ხომ კარგი, — წყურვილს მოიკლავ, თერმოსს ან მათარას აავსებ და გზას განაგრძობ... მაგრამ, ვთქვათ, გარშემო არც წყაროა და არც ჭა, არც ანკარა ნაკადული და არც სუფთა ტბა, შენ კი ყელი გიშრება...

უცებ, თავზე წაადექი რუს, მაგრამ ძალზე მღვრიეა — მისი დალევა არ შეიძლება. რა უნდა ჰქნა?..

გაძლევთ რამდენიმე რჩევას.

აი, როგორ კეთდება ვედროსაგან ფილტრი:

ვედროს გვერდზე, ფსკერთან ახლოს, გაუკეთე ნახვრეტი. ვედროში 10 სანტიმეტრ სისქეზე ჩაყარე ხრეში, ზედ დააფინე ბამბის ქსოვილი, რომელიც გადმოფენილი იქნება ვედროს კარბაზე. ამ ქსოვილზე დააყარე სუფთა სილა, თითქმის პირთამდე — ისე, რომ გასაფილტრავი წყლის ჩასასხამი ადგილი დარჩეს.

ვედროს ნახვრეტში გამოვა გაფილტრული. დასალევად ვარგისი წყალი...







ვთქვათ, თავზე წაადექი პაწაწინა ნაკადულს, რომელიც მიწაზე ფურცელივითაა გართხმული და მისგან რაიმე ჭურჭლით წყლის ამოღება ისე, რომ არ აიმღვრეს — შეუძლებელია.

აი, ხერხი, — რომელიც ამ დროს გამოგადგება:

ნაკადულში ამოჩიჩქნე ორმო, შიგ ჩადგი მჭიდროდ დაწნული კალათი. ორმოსა და კალათს შორის დარჩენილი არე ამოავსე სილანარევი ხრეშით. კალათში, შუამდე, თანმიმდევრობით ჩაყარე: ჯერ — სილა, მერე — წვრილი ხრეში, — ბოლოს — მსხვილი ხრეში.

ლაშქრობისას თან იქონიე ქლოროვანი კირის ხსნარი: ერთ ჭიქა წყალში გაურიე 4 ჩაის კოვზი ხსნარი, გადაასხი უფრო დიდ ჭურჭელში, ჩაუმატე ერთი ლიტრი წყალი, შეანჯღრიე და თავი მაგრად დაუცე.

ასეთი ხსნარი 2 თვეს ვარგა; ერთ ვედრო წყალში ჩაურევ ერთიდან ათამდე ჩაის კოვზ ხსნარს— იმისდამიხედვით, თუ როგორ მოითხოვს გასასუფთავებელი წყალი; კარგად აურევ და ნახევარი საათის შემდეგ დალევ.

## ნახატი ხუმრობები



ჩეხურ საბავშვო ჟურნალ „ოგნიჩეკიდან“.



ფრანგულ საბავშვო გაზეთ „ლუმანიტადან“.



ИНДЕКС 76157